№2(3) 18.01.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი ფასი 40 კაპიკი საქართველოს მენეჯერთა კავშირი

**სრულიად საქართველოსთან ერთად „სარბიელის" რედაქცია თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს ლიტველ ხალხს**


**ნომერში:**

ქართული ფეხბურთი: დებატები ეროვნული ჩემპიონატის გარშემო
მე-2 გვერდი

ინტერვიუ ვაცლავ იეჟეკთან

„დინამო" დიდი გუნდი იყო, ნამდვილი სუპერკლუბი!"
მე-4 გვერდი

ფეხბურთის ბუმი «ცხვრის კუნძულებზე»

ფიფა-ს 166-ე წევრი
მე-6 გვერდი

იანვრის მესამე შაბათს იწყება „ხუთი ერის პირველობა" რაგბიში
მე-7 გვერდი




## ტანკები და სპორტი

სპორტი პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს.

არც პოლიტიკა უნდა ჩაერიოს სპორტში.

ეს აქსიომაა.

მაგრამ სპორტი სულ უფრო ხშირად განიცდის პოლიტიკის ზეგავლენას. პოლიტიკა ამით ვერაფერს იგებს, სპორტი კი ბევრს კარგავს.

ბალტიისპირა რესპუბლიკებში დატრიალებული მოვლენები, ცხადია, სპორტსაც შეეხო. ჩაიშალა ხელბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი („ბალტიის თასი"), რომელიც 15 იანვარს მინსკში უნდა დაწყებულიყო. შვეციის, პოლონეთის, გერმანიისა და ისლანდიის გუნდებმა ბოიკოტით უპასუხეს გორბაჩოვის „სატანკო" პოლიტიკას.

ჩაიშალა მსოფლიო ჩემპიონატი საციგაო სპორტში, რომლისთვისაც იანვრის ბოლოს ლატვიის ქალაქ სიგულდეს უნდა ემასპინძლა.

გამორიცხული არც ის არის, რომ საბჭოთა კავშირს ბოიკოტი გამოუცხადოს საერთაშორისო სპორტულმა სამყარომ. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან უკვე მოვიდა პირველი სიგნალი. სოკ-ის გენერალური დირექტორი ფრანსუა კარარი აცხადებს: „ძალზე გვაფიქრებს და გვაღელვებს, რასაც ტელევიზიით ვნახულობთ და ახალი ამბების ქრონიკიდან ვგებულობთ. ტანკები, დესანტები, ადამიანთა მსხვერპლი... იმედია, სოკ-ის სანქციებამდე არ მივა საქმე, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, როგორ იმოქმედებს ეს პროცესები ოლიმპიურ მოძრაობაზე".

ძალადობას, ტანკებს და შაშხანებს ვერ ჰგუობს დემოკრატიული სამყარო.

სპორტული სამყაროც, რა თქმა უნდა.



გია ახალაძის ფოტო

თითქმის ოცდაათი წელია საქართველოში „ბინადრობს" მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი მოჭადრაკე ქალთა შორის. მას ისე შევეჩვიეთ, ლამის ეროვნული საკუთრება გვგონია. თუმცა სიფხიზლე მუდამ საჭიროა, რადგან მსოფლიოა თვითონ ძალზე ცვალებადი. ინტერვიუში, რომელსაც „სარბიელის" ამ ნომერში გთავაზობთ, მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე თავის აზრს გვიზიარებს კასპაროვზე, კამპომანესზე, ფიდე-ში გაწევრიანების მცდელობაზე და პერსპექტივაზე... მსოფლიო პირველობის მატჩის დროც მოახლოვდა და მაიას გამოკვეთილი აზრი აქვს თავისი შესაძლო მეტოქეების პერსპექტივებზე, რომელთა შორის უძლიერესი პრეტენდენტთა შეხვედრამ უნდა გამოავლინოს.

## რა ღირს ფიფა-ში შესვლა?

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის* წესდებით ახალგაწევრიანებული ეროვნული ფედერაციებისთვის წინასწარ შესატანი თანხა დაწესებული არ არის. ფიფა-ს წევრ ორგანიზაციებს ფიფა-ს ხაზინაში ყოველწლიურად (იანვრიდან — იანვრამდე) შეაქვთ სიმბოლური თანხა 300-300 შვეიცარიული ფრანკი.

## ეს ერთი და...

სულ ორიოდე მედლის ანაზარად დარჩა საბჭოთა კავშირის ნაკრები ავსტრალიის ქალაქ პერტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საწყლოსნო სახეობებში. ერთ-ერთი ჭილდო თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის ანგარიშზეა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში.

ევროპის ორგზის ჩემპიონი დიდხანს წარმატებით ებრძოდა ორ ჩინელ სპორტსმენს — სუ შუეისა და სიუნ ნის, აგრეთვე ცნობილ გერმანელ მხტომელს იან ჰემპელს. მხოლოდ ბოლო ცდებმა გაიყვანა წინ ჩინელები, ჩოგოვაძემ კი, როგორც უკვე ვთქვით, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ეს წლევანდელი სეზონის პირველი ჭილდოა ჩვენი სპორტსმენებისთვის ოფიციალურ შეჯიბრებებში.



გიორგი ჩოგოვაძე

## ერთად — მედლებისკენ

ბაკურიანელი სპორტსმენები, ლევან თიბილოვი და კახაბერ გახტანგიშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ საციგაო სპორტში. ლატვიის ქალაქ სიგულდაში გამართულ შეჯიბრებაში მათმა ორადგილიანმა ციგამ ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა დისტანციაზე და საბოლოოდ 1 წუთი და 28,427 წამი აჩვენა.

# მედლები გინდათ, ბავშვებო?!

## გარემო – ჩვეული, შედეგები – უჩვეულო

სიპ ქვაზე ამოსულ ყვავილს შეიძლება შევადაროთ ჩვენი მშვილდოსანი გოგონების წარმატება. არ ვაზვიადებთ, ჩვენთვის სრულიად „ჩვეულ გარემოში“, როცა კარგი მშვილდ-ისარიც საძებარია და სასროლეთიც, შარშან ორი ქართველი სპორტსმენი გახდა ევროპის ჩემპიონი — 18 წლის ნატო ნასარიძე და 16 წლის ხათუნა ქვრივიშვილი. ეს იყო ნიჭისა და მონდომების ბედნიერი შერწყმის მაგალითი, რაც, უნდა ითქვას, არც ისე იშვიათია ჩვენს სპორტში. ამ კერძო შემთხვევაში კი ეს თანაბრად ითქმის სპორტსმენებზე და მათ მწვრთნელებზეც — ვლადიმერ ლეკვეიშვილზე და ალექსანდრე მეძევიძეზე.

სერგო გათიკაევი



ბარსელონაში, ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს საკმაოდ კოლორიტული სახე ჰქონდა: გუნდის მესამე წევრი ლიუდმილა არჟანიკოვა ასაკით სწორედ ხათუნას დედის — ქალბატონი რუსუდანის ტოლი იყო. „დიდებში გარეულ“ თბილისელ გოგონებს მეტოქეებმა მალე ყურადღებითა და შეშფოთებით დაუწყეს ცქერა. მიზეზი საკმარისზე მეტი ჰქონდათ: შეჯიბრებაში ჯერ მისი ყველაზე უმცროსი მონაწილე — ხათუნა ქვრივიშვილი ლიდერობდა, შემდეგ — ნატო ნასარიძე. საბოლოოდ ნატომ პირადი და გუნდური პირველობის ორი ოქროს მედალი დაიმსახურა, ხათუნამაც ამდენივე ჯილდო მიიღო, ოღონდ პირად შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა...

ასეთი მაღალი კლასის სპორტსმენთა მონაწილეობა, ცხადია, სილამაზეს მატებს ნებისმიერ შეჯიბრებას, თუნდაც იგი ერთი „ჩვეულებრივი“ რესპუბლიკური ზამთრის ჩემპიონატი იყოს. ეს ტურნირი ორიოდე დღის წინ დამთავრდა ვაკის მძლეოსნურ მანეჟში. შეჯიბრების მთავარი მოქმედი პირნი ისევ და ისევ ხათუნა და ნატო იყვნენ. ოლიმპიურ დისციპლინაში, ე.წ. „ფიტას დიდი წრის“ ფინალში ხათუნა ქვრივიშვილმა აჯობა თანაგუნდელს, ხოლო 33+34 ვარჯიშში (25 და 18 მეტრ დისტანციებზე), რომელიც მხოლოდ დახურულ სასროლეთზე ეწყობა და დუელის ხასიათი აქვს, პირველი იყო ნატო ნასარიძე.

ვაჟთა შორისაც თბილისელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, — სერგო



ხათუნა ქვრივიშვილი

გათიკაევმა და ვლადიმერ სვანაძემ გათიკაევმა ამასთან ერთად საქართველოს სამი რეკორდი დაამყარა. საერთოდ, მწვრთნელთა აზრით, ჩემპიონატის ლიდერთა შედეგები სეზონის დასაწყისის პირობაზე საკმაოდ მაღალი იყო. (ასპარეზობის ტექნიკური შედეგები შეგიძლიათ იხილოთ მეექვსე გვერდზე).

მშვილდოსნებმა სხვა სანუგეშო ამბავიც გვითხრეს: დიღმის ტყე-პარკში (იქ ქალაქის ხელისუფალთა შეკვეთით სპორტული კომპლექსი და მასთან ერთად ახალი სასროლეთი უნდა აშენდეს), მგონი, მშენებლები გამოჩნდნენო. ახლა მშვილდოსნობაში ჩაბმული ხალხი — სპორტსმენები, მწვრთნელები თუ ხელმძღვანელები, — ყველანი მეტად აღელვებულნი არიან და ახალი სასროლეთი, რომ იტყვიან, მათ სულზე მიუსწრებთ.

# არჩევანი გაკეთებულია?

## დებატები ჩემპიონატის გარშემო

საფეხბურთო არდადეგების პერიოდში, მეტადრე ახლა — უაღრესად გამწვავებული პოლიტიკური ვითარების ჟამს — ფეხბურთის მიმართ საზოგადოებრიობის ყურადღება საგრძნობლად მოდუნებულია. არადა, სწორედ ამ დღეებში ჩვენს ფეხბურთში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეროვნული ჩემპიონატი ამიერიდან „შემოდგომა-გაზაფხულის“ პრინციპით გაიმართება; უმაღლეს ლიგაში თვრამეტის ნაცვლად ოცი გუნდი ითამაშებს; საქართველოს თასის გათამაშება აგვისტოში დაიწყება და გაისად, მაისში დამთავრდება. ერთი სიტყვით, საფუძვლიანად იცვლება რესპუბლიკური საფეხბურთო ტურნირების სტრუქტურა. ამგვარ ცვლილებათა საჭიროება, რაკი ვერდიქტი გამოტანილია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, უნდა ვიფიქროთ, ანგარიშგასაწევი არგუმენტებით არის დასაბუთებული. „ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება“, თუმცა პრეზიდიუმის რამდენიმე წევრმა, აგრეთვე ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა სწორედ საბუთი დაიწუნა აზრისა და გადაწყვეტილების გადასინჯვა მოითხოვა.

მოვლენათა განვითარების ქრონიკა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მწვრთნელთა საბჭოს წარუდგინა ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების ახალი პროექტი. მას 20-დან 18-მა მწვრთნელმა დაუჭირა მხარი. მოგვიანებით (ასევე ხმათა უმრავლესობით) პროექტი მოწონებული და დამტკიცებული იქნა პრეზიდიუმის სხდომაზე. აქ უკვე საქმეში ჩაერია ფედერაციის მაკონტროლებელი ორგანო — საექსპერტო კომიტეტი, რომელმაც პრეზიდიუმის გადაწყვეტილება არამართლზომიერად მიიჩნია. თავის მხრივ პრეზიდიუმმა არ გაიზიარა კომიტეტის დასკვნა. მერე კამათმა „სხვა სიბრტყეში“ გადაინაცვლა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის კაბინეტამდე მივიდა. სიტუაცია თითქოს განიმუხტა, მაგრამ, როგორც ირკვევა, კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა.

ამ წერილის მიზანი არ გახლავთ მტყუან-მართლის დადგენა (ეს არ შედის ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში), თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ რამდენიმე მომენტზე გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ბატონ ნოდარ ახალკაცს მიაჩნია: ეროვნულ ჩემპიონატში ღრმა სტრუქტურული ცვლილებები აუცილებელია და ამ საქმის გადადება არ შეიძლება. პირველი ჩემპიონატის დებულება, დროის დეფიციტის გამო, ნაჩქარევად შედგა და ტურნირის მსვლელობისას, ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერაცია იძულებული გახდა გადაესინჯა დებულების ზოგიერთი პუნქტი. სეზონის შედეგების ანალიზმა, სხვა ქვეყნების გამოცდილებამ, ევროპულ ფეხბურთში დამკვიდრებულმა წესმა გვიკარნახა ახლავე გადავიდეთ „შემოდგომა-გაზაფხულის“ მოდელზე; ამასთან ერთად, გამოიკვეთა უმაღლესი ლიგის გუნდების ოცამდე გაზრდის საჭიროება. ჯერ ვერ მოხერხდა ფიფა-სა და უეფა-ში გაწევრიანება, საქართველოს გუნდებს ეკრძალებათ არა მარტო ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში, არამედ ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობაც. უმაღლესი ლიგის გაფართოების ხარჯზე გაიზრდება თამაშების რიცხვი და ამ გზით შეივსება სათამაშო პრაქტიკაც; გაუმჯობესდება ფეხბურთელების, კლუბების, ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთ კაპიკს არ ღებულობს). მოკლედ, ბატონი ნოდარის აზრით, შემოთავაზებული ცვლილებები ხელსაყრელია როგორც სპორტული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

პრეზიდენტის პოზიციას, ზემოთ უკვე ითქვა, მხარს უჭერს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა. წესდების ძალით, ამ საკითხთა გადაწყვეტა სწორედ ფედერაციის პრეზიდიუმის პრეროგატივაა. წესდებაში ჩაწერილია, რომ პრეზიდიუმი „წყვეტს საქართველოს საფეხბურთო კლუბებისა და გუნდების სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილეობის საკითხებს; შეიმუშავებს საფეხბურთო საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის ძირითად პრინციპებს; აწყობს სხვადასხვა რანგის საფეხბურთო შეჯიბრებებს“... საკამათო და სადაო თითქმის არაფერია, რომ არა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. პრეზიდიუმმა დაარღვია მის მიერვე დამტკიცებული „საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების“ პრინციპული მუხლი: „1990 წლის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები 1991 წელს გადაყვანილი იქნებიან პირველ ლიგაში, ხოლო პირველ ლიგაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადავლენ უმაღლეს ლიგაში.“

უწინარესად სწორედ დებულების ამ მუხლის იგნორირებას აპროტესტებს საექსპერტო კომიტეტი, რომელსაც, სხვათა შორის, იმავე წესდების ძალით უფლება აქვს მოიწვიოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. იმედია, ამჯერად ყრილობის მოწვევის საჭიროება გამოირიცხება და კომპრომისული გადაწყვეტილებაც მოინახება.

ჩვენი აზრით, ასე აჯობებს საქმისთვის და ფეხბურთისთვის.

ელგუჯა ბერიშვილი

## უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გასული წლის დეკემბერში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთში რეფორმების გატარების შესახებ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა უკანონოდ მიიჩნია პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება, რადგან ის არღვევდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძირითად საკანონმდებლო აქტს — ეროვნული ჩემპიონატის საშეჯიბრებო დებულებას.

იმის გამო, რომ პრეზიდიუმმა უგულებელყო საექსპერტო კომიტეტის მრავალგზისი მითითება დებულების დაცვის შესახებ, საექსპერტო კომიტეტმა განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

გუშინ უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და ჰუმანიტარულ, სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიებმა ერთობლივ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის განცხადება.

სხდომამ ერთხმად დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სფფ-ის საექსპერტო კომიტეტის წევრთა განცხადება;

2. მიჩნეულ იქნეს „საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლის დარღვევის ფაქტი სფფ-ის პრეზიდიუმის მიერ.

3. დაევალოს სფფ-ს პრეზიდენტსა და პრეზიდიუმს დებულების დაცვა და არ დაუშვას მისი დარღვევა.

4. სფფ-ს პრეზიდიუმმა წერილობით აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების შესრულების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ჩვენში, სამწუხაროდ, კანონის უზენაესობის პრინციპი ფეხქვეშ ითელებოდა. როგორც ჩანს, კანონის დარღვევის ტენდენციას საქართველოში დღესაც ჰყავს მომხრეები. სწორედ მათ გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ყველასაგან უკლებლივ პრინციპულად მოითხოვს კანონის უზენაესობის დაცვას.

(საქინფორმი)



თამაზ წივწივაძის თქმისა არ იყოს, დღემდე ჩვენი ცხოვრება ან წინასწარ მოგონილი ლოზუნგების მიხედვით მიემართებოდა, ანდა სიტუაციის შესაბამისად იგონებდნენ ახალ-ახალს. „მასობრიობიდან—ოსტატობამდე“ — ძირითადად ეს მოწოდება-პრინციპი ედო საფუძვლად საბჭოთა სპორტის განვითარებას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მძლეოსნობაში იყო შესამჩნევი — სპორტის მართლაც ყველაზე მასობრივ სახეობაში.

ერთი მხრივ, ხალხს თუ მასობრივად ჩააბამ სპორტში, ეს, ცხადია, ცუდი როდია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში თითქოს დიდი ენთუზიაზმით დაწყებული საქმე საბოლოოდ „დიდი ფორთოხლის“ გამოწურვად

# „დედოფალი ძველი კაბით“

გადაიქცა ერთი-ორი წვეთი სასურველი „წვენისათვის“. ეს მეთოდი გარკვეული თვალსაზრისით ამართლებდა კიდეც ვეებერთელა ქვეყანაში, რადგან „მასალა“ იყო უზარმაზარი და ექსპლუატაცია — შეუბრალებელი.

ჩვენი, საქართველოს სპორტიც „დიდი საკავშიროს“ შემადგენელი ნაწილი იყო (და ჯერჯერობით არის). ამიტომ აღნიშნული ლოზუნგი აქაც ხეირობდა. მართალია, ჩვენი, ადგილობრივი სპეციფიკის გამო მას სასტიკი ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ თავისი კვალი მაინც დატოვა. ეს გახლავთ, თუნდაც იმავე მძლეოსნობაში, სპორტული სკოლების გაბერილი კონტინგენტი, აქედან გამომდინარე — პროფესიონალიზმის დაქვეითება და ა.შ. ამას დაემატა (მსოფლიო ტენდენციის საპირისპიროდ) მძლეოსნობის იხედაც ზომიერი პოპულარობის მკვეთრი კლება, სხვა მიზეზებიც და ახლა ყველაფერი, ფაქტობრივად, თავიდან დასაწყებია. მოსაძებნია მუშაობის ის ფორმა, რომელიც დღევანდელ სიტუაციას უპასუხებს. (ამ მხრივ ჩვენს მძლეოსნობაში გარკვეული ცდები უკვე მიმდინარეობს).

საერთაშორისო დონეზე თუ ვიმსჯელებთ, მძლეოსნობაში ახლა თითქმის ხელცარიელნი ვართ, თუმცა ვარჩიში განაახლა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა მაია აზარაშვილმა. გვყავს ორიოდე პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენიც.

საქართველოს ზამთრის წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც პროფკავშირების მძლეოსნობის სახახლეში გაიმართა, მაყურებლები ყველაზე დიდი ინტერესით მაია აზარაშვილის გამოსვლას ელოდნენ, მით უმეტეს, რომ მას, საერთო შეფასებით, საკმაოდ ღირსეული მეტოქეც ჰყავდა — თამარ ზანიძე, რომელმაც მაიას არყოფნის პერიოდში პირველი სპრინტერის სახელი დაიბევა. ამ „დუელში“ მაიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა და შემდეგ ახალგაზრდა მეტოქე კოცნით ანუგეშა.

საქართველოს მძლეოსნობის განვითარების ძველი ფორმების გამო ისიც მოხდა, რომ მთელი ეს სტრუქტურა ერთ თავკომბალად იქცა: მთელი არსებული ძალება, ფაქტობრივად, თბილისშია თავმოყრილი. ტრადიციები დაკარგეს ქუთაისმა, ბათუმმა, სოხუმმა. აღნიშნულ ზამთრის ჩემპიონატშიც ძირითადად მასპინძლები იმარჯვებდნენ, გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ქუთაისელი ვახტ მახარაძე, ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი და კიდევ ორიოდე სხვა (ჩემპიონატში გამარჯვებულებს გაეცნობით მე-8 გვერდზე).

„სპორტის დედოფალი“ — მძლეოსნობა, ახლა საკმაოდ ხშირად სპორტში ერის კულტურად ითვლება, და ასეთი კულტურის შესანარჩუნებლად დიდი საქმეებია გასაკეთებელი.

გიორგი იოსებიძე



სურათებზე: ზემოთ — 60 მეტრზე თარჯრბენში შეჯიბრების ფინალი; ქვემოთ — მაია აზარაშვილი და თამარ ზანიძე ფინიშის შემდეგ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



# ჩემპიონი იწყებს მჯადლებას

## შეიცვლის აზრს „ჭკვიანი აზიელი"?

**მაიამ სასიამოვნო გულითადობით მიგვიღო. უბრალოდ და ძალზე თავაზიანად იქცევა. ბინაზაც განსაკუთრებულს ვერ უწოდებ, მსგავსი ძალიან ბევრს აქვს თბილისში. მსოფლიო ჩემპიონი შეშფოთებით უცქერის ფურცელზე ჩამოწერილ კითხვებს. „რა ამბავია ამდენი, — იცინის — როდის უნდა მოვრჩეთ". „ქალბატონო მაია", მივმართეთ მისალმებისას, მაგრამ ასეთი დახვედრის შემდეგ საუბარი უფრო უშუალოდ წარიმართა.**

**მაია, ჩვენ, მგონი, დავიწყეთ ჩვენი ჩემპიონი. მაინც რამდენი ხანი იქნება, რაც თქვენთვის საქართველოში ინტერვიუ არ უთხოვიათ?**

— მართალი გითხრათ, ზუსტად არ მახსოვს. ამას მივეჩვიე, აღარ მიკვირს, ამ პრობლემას არც ისე სერიოზულად ვთვლი.

**ჭადრაკს ორი ჩემპიონი ჰყავს. ის მეორე რომ მუდამ ყურადღების ცენტრშია?**

— ეს გარის ხასიათის გამოა. ბავშვობიდანვე ვიცნობ. მუდამ ასეთი იყო, მოუსვენარი, დაუდეგარი... მას თამამად შეიძლება გენიოსი უწოდო. ყველაფერში შესანიშნავად ერკვევა, პოლიტიკა კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისთვის მეორე სახეობაა.

**თუ საიდუმლო არ არის, განვლილ მატჩში ვის უფრო ქომაგობდით?**

— პროფესიონალებისთვის ქომაგობა არ არსებობს, ეს უფრო გულშემატკივართა საქმეა. კასპაროვს გამარჯვების დიდ შანსი ჰქონდა და ეჭვიც არ შემპარვია მატჩის საბოლოო შედეგში.

**როგორ ფიქრობთ, მატჩისთვის მზადების პერიოდში პოლიტიკით გატაცებამ მსოფლიო ჩემპიონს ხელი ხომ არ შეუშალა?**

— არა მგონია, გარის სამი თვე სავსებით ეყო მომავალ ორთაბრძოლისთვის მოსამზადებლად. საერთოდ, იგი ერთ დღესაც არ აცდენს ჭადრაკის გარეშე, ნამდვილი პროფესიონალია და პრაქტიკულ ძალას არასოდეს კარგავს. მე კი არა მგავს.

**თქვენ?**

— მე თავს დასვენების უფლებას ვაძლევ ხოლმე.

**იქნებ იმის გამო, რომ თქვენ ძალაში დარწმუნებული ხართ?**

— არა, ეს ჩემი ხასიათიდან გამომდინარეობს: ცოტა ზარმაცი ვარ.

**მაია, ქართველი ჭადრაკის გულშემატკივრები შეაშფოთა პრეტენდენტთა ტურნირის შედეგმა. ბორჯომში ჩვენმა მოჭადრაკეებმა მარცხი იწვნიეს. თქვენი ყველას გვჯერა, მაგრამ, თუნდაც არითმეტიკული თვალსაზრისით, საჭადრაკო გვირგვინს გარკვეული საფრთხე ემუქრება. არადა, ჩვენ ამ გვირგვინს ისე შევეჩვიეთ, ლამის საქართველოს მუდმივ საკუთრებად ჩავთვალოთ.**

— ეს სულელური რეგლამენტის გამო მოხდა. ტურნირში, რომელიც შვიდი პარტიისგან შედგება, ყველას შეუძლია გაიმარჯვოს. ბოლო ტურის წინ ნონას და ნანას კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ, ეტყობა, ორივეს ნერვებმა უმტყუნა. ის ორნი კი (ჩინელი სი ცზიუნი და იუგოსლაველი მარიჩი — გ.ჩ.) არაფერს კარგავდნენ, ამიტომ საბოლოო შედეგი ასე მოულოდნელიც იყო. სამწუხაროა, რომ მსოფლიო ჩემპიონობისთვის, ფინალს ვგულისხმობ, მარტო ქართველი მოჭადრაკეები არ იბრძოლებენ, როგორც ადრე იყო ხოლმე. სხვათა შორის, სი ცზიუნი სუსტი მოჭადრაკე არ არის. იგი მზარდი სპორტსმენია და თუ მარიჩს მოუგო, რასაც მე ვვარაუდობ, მისი დამარცხება იოლი არ იქნება. მატჩისთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო.

**ფიდე-მ, ფაქტობრივად, ალტერნატივის წინაშე დააყენა ჩვენი მოჭადრაკეები, აიძულა შვიდი პარტიისგან შემდგარ ტურნირში მიეღოთ მონაწილეობა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქართველი მოჭადრაკეები, მათ შორის თქვენც, მსოფლიო ჩემპიონი, აქტიურად არ იბრძვით თქვენი უფლებების დასაცავად? ნაკლებ სარწმუნოა, რომ ვაჟებთან ასეთი რამ მომხდარიყო.**

— არა, ეს უფრო შემთხვევითობის ბრალია. ჩვენ გვიან გავიგეთ პრეტენდენტთა ტურნირის წესების შესახებ. როცა შევიტყვეთ, უკვე გვიან იყო, თორემ შეცდომას გამოვასწორებდით.

**ახლა ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადის შესახებ მინდა გკითხოთ. არა მგონია, რომ პოტენციური შესაძლებლობებით უნგრელთა გუნდი თქვენზე ძლიერი ყოფილიყო, თუმცა პირველი ადგილი დაიკავა. იქნებ ეს იმის გამო მოხდა, რომ ოლიმპიადა გუნდური პირველობაა და ამ მხრივ დებ პოლგარებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ? ხომ არ იყო თქვენს გუნდში რაიმე დისონანსი?**

— არა, ჩვენი გუნდი, ასე ვთქვათ, კარგად იყო აწყობილი და ამ მხრივ რაიმე პრობლემა არ არსებობდა. გამარჯვებასთან თითქოს ახლოს ვიყავით, მაგრამ ჩეხებთან შეხვედრისას რა დაგვემართა, ახლაც არ ვიცი. უნგრელებმა, გეხსომებათ, მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით გაიმარჯვეს. კოეფიციენტი ბევრს არაფერს ნიშნავს — ესპანელებმა 0:3 წააგეს მონღოლებთან, მონღოლებმა კი ვილაცასთან და... ჩვენ მეორე ადგილზე აღმოვჩნდით. მომავალი ოლიმპიადისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს წესები გადაისინჯოს.

საერთოდ კი ამ ოლიმპიადამ ცხადყო, რომ დები პოლგარები იმდენს არაფერს წარმოადგენენ, რამდენიც სახელი აქვთ. ეს ალბათ თვითონაც იგრძნეს, ბოლო ხანს ნელ-ნელა მობრუნდნენ ქალთა ჭადრაკისკენ. პოლგარების დედა ფიდე-ს კომისიის ქალთა განყოფილებაშიც აირჩიეს.

**როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

— როგორ გითხრათ, ურთიერთობისთვის სავსებით ნორმალური გოგოები არიან. იგივე შემიძლია ვთქვა მათს დედაზე. ეგ არის, მამა ჰყავთ ცოტა უცნაური, ამბიციური კაცი. ამას წინათ, ერთი აბსურდული იდეა წამოაყენა: პრეტენდენტთა შესარჩევი ციკლის, ესე იგი საზონათშორისო და ფინალური ტურნირების პერიოდში მსოფლიო ჩემპიონი უმაღლესი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეს უნდა შეხვდესო — ესე იგი მის ერთ-ერთ ქალიშვილს, იუდითს. მატჩ-რევანში უნდა დაინიშნოსო და რა ვიცი, მოკლედ, გაუთავებელ მატჩს გვთავაზობდა.

**შეიძლებოდა თუ არა საჭადრაკო ოლიმპიადაზე გალიამოვას შეცვლა რომელიმე ქართველი მოჭადრაკით, ისე, რომ გუნდის ძალა არ შესუსტებულიყო?**

— მისი შეცვლა შეეძლო რომელიმე ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეს, თუნდაც ქეთინო კახიანს. ამით არაფერს წავაგებდით.

**რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ნონა გაფრინდაშვილის განცხადებამ, რომ ალარახოდეს გამოვა საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით?**

— მე მაშინ ქუთაისში ვიყავი, მაგრამ ნონას გადაწყვეტილების შესახებ უფრო ადრე ვიცოდი და არ გამკვირვებია. მეც შემიძლია ასევე მოვიქცე, ოღონდ ჯერ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სტატუსი უნდა გაირკვეს. არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ ერთ დღეს დავკარგოთ ყველაფერი, რასაც ჭადრაკის ქართულმა სკოლამ ამდენი ხნის შრომით და მცდელობით მიაღწია.

**მაია, არ იფიქროთ, თავს იმის უფლებას ვაძლევ, რომ პატრიოტობისკენ მოგიწოდებ. უბრალოდ, ეს საკითხი ჩვენთან ბევრს აღელვებს და ამიტომ გეკითხებით: თქვენ, მსოფლიო ჩემპიონს, და საერთოდ, ჩვენი მოჭადრაკე ქალები, დიდ ძალას წარმოადგენთ. ხომ შეიძლება ამ დიდი გავლენის გამოყენება ფიდე-სთან და ჭადრაკის საკავშირო ფედერაციასთან ბრძოლაში, რომ ფიდე-ში დამოუკიდებლად გაწევრიანდეთ? თუ იყო ამის ცდა?**

— მე ეს კარგად მესმის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ბოლო ოლიმპიადაზეც, პირადად რამდენჯერმე მივმართე ფიდე-ს პრეზიდენტ კამპომანესს ამის შესახებ, მაგრამ გადაჭრით უარს მეუბნება, — ხანამ საქართველო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს, არაფერი გამოვაო. საჭადრაკო ოლიმპიადის დროს ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები ეახლნენ თხოვნით, რომ მათთვის ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეცა, მაგრამ უარი უთხრა.

**არადა, კამპომანესი ახალი ვა[illegible] აირჩიეს ფიდე-ს პრეზიდენტად.**

— დღეს მას ღირსეული [illegible] არა ჰყავს და ამიტომაც აირ[illegible]. ადრე კამპომანესს ძალიან სჭირდებოდა მოსკოვის მხარდაჭერა და მის [illegible] არაფერს მოიმოქმედებდა. ახლა ვითარება შეიცვალა, მოსკოვმა ჭადრაკშიც დაკარგა ძალა, სხვები კი უფრო გაძლიერდნენ. კამპომანესის პოზიციაც შეიძლება შეიცვალოს. ფიდე-ს პრეზიდენტი ეშმაკი და ჭკვიანი კაცია, ნამდვილი აზიელი, მასთან შეიძლება ურთიერთობა და იქნებ მიზანს მივაღწიოთ. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს.

**მაგრამ ფიდე მარტო კამპომანესი ხომ არ არის? არ გიცდიათ იქ სხვა მოკავშირეების მოძებნა?**

— არა, თუმცა მარტში მე და ორივე ნანა ბრიუსელში მივდივართ, დიდოსტატთა ასოციაციის პრეზიდენტს, ბელგიელ კოკს უნდა შევხვდეთ. იქ ვილაპარაკებთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, და მოთხოვნებსაც წავუყენებთ. ამ ასოციაციას ცალკე წესდება აქვს და შეიძლება მის შემადგენლობაში შევიდეთ.

**ხალხს უკვირს, მაია რატომ არ გამოდის ფიდედანო. გამოსვლა იოლია, მაგრამ ჰაერში არ უნდა დავრჩეთ გამოკიდებულნი. კარგად უნდა შევისწავლოთ ფიდე-ს კანონთა წიგნი და ისე ვიმოქმედოთ.**

**თუ მოგმართავთ ვინმემ წინადადებით, — ან ჩვენი სპორტსახკომიდან, ან მთავრობიდან, რომ ერთად, ფუნდამენტურად დასაბუთებული არგუმენტებით გებრძოლათ ფიდე-ში გაწევრიანებისათვის?**

— არ მოუმართავთ, მაგრამ ასეთ პოზიციაზე დგას საქართველოს ჭადრაკის მთელი ფედერაცია, რომლის საქმიანობაში მეც ვმონაწილეობ. ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ ამისთვის. გავიგეთ, კამპომანესს მაინც დაუთმია რაღაც-რაღაცები ბალტიისპირელებისთვის. ეს მასალებიც შესასწავლია. ისინი უკვე თბილისშია, ნანა ალექსანდრიას აქვს, რომელიც ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარეა.

მოსკოვმაც შეიცვალა ტაქტიკა, ახლა პირდაპირ აღარ გვეწინააღმდეგებიან, მე პირადად ისიც კი გამაგონეს, მიდით, გაწევრიანდით ფიდეშიო. კარგად იციან, რომ ფიდე მტკიცე უარს გვეუბნება. კამპომანესს მაინც მოსკოვის დიდი მხარდაჭერა აქვს.

**რა ურთიერთობა გაქვთ ჭადრაკის საკავშირო ფედერაციასთან?**

— ახლა თითქმის არაფერი. შეჯიბრებებზე იქედან მივდივარ ხოლმე. ხელფასს ჩვენს სპორტსახკომში ვიღებ, ოღონდ საიდან მოდის ეს ფული, მართალი გითხრათ, არ ვიცი.

**თუ საიდუმლო არ არის, რამდენს იღებთ?**

— 350 მანეთს. ეს არის ჩემი ერთადერთი ოფიციალური შემოსავალი. სხვაა ტურნირების ჰონორარი, ოღონდ ქალთა შეჯიბრებებზე საპრიზო ფონდი ძალიან მცირეა, მათ შორის მსოფლიო პირველობის მატჩისაც, ვაჟთა ტურნირებში წარმატების მოპოვება კი ძალიან ძნელია. თქვენ ხედავთ, რომ ფინანსური თვალსაზრისითაც მოსკოვთან კავშირის [illegible] არაფერს ვკარგავ.

**უცხოელებს არ შემოუთავაზებიათ რაიმე ხელსაყრელი კომერციული კონტრაქტი?**

— ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. ახლა შეიძლება ამ საქმეს ყურადღება მივაქციო, ოღონდ ჯერ არა, მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი მოახლოვდა და სამზადისი უნდა დავიწყო. ზოგს ჰგონია, იოლად გავიმარჯვებ, მაგრამ ვიცი, ძნელი მატჩი მომელის.

**ხკანდალები, ეტყობა, მსოფლიო პირველობის მატჩების აუცილებელი ატრიბუტია. უფრო ვაჟების შეჯიბრება მაქვს მხედველობაში. ხომ არ არის ეს ხმაური, ნაწილობრივ მაინც, ხელოვნურად გამოწვეული?**

— შესაძლოა ასეც იყოს. ქალები ჩუმად ვართ და ფულიც არა გვაქვს, კაცები კი ასეთ ამბავში არიან და ფული ჩეხქივით მოსდით. ალბათ იგივე იქნება, მეც რომ მოვდგე და, ვთქვათ, პოლგარები ვლანძღო. მაგრამ ამას არასდიდებით არ ვიზამ.

**როგორ ფიქრობთ, ამ გახმაურებული განცხადების შემდეგ ქალბატონი ნონა შეძლებს ტურნირებში გამოსვლას?**

— ჯერ ზუსტად არ ვიცი, ოფიციალურ ტურნირებში ალბათ ვერ გამოვა, იქნებ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზეც არ დაუშვან. მოკლედ, ჯერ არ ვიცი, რა მოჰყვება ნონას განცხადებას.

**ეს კითხვა იქნებ ჩვენს დროში ზედმეტიც იყოს, მაგრამ მაინც რაიმე თვალსაზრისით დისკომფორტს ხომ არ განიცდით?**

— ახლა, როცა საქართველოში ყველას უჭირს, მშვიდად ვერ იქნები. ირგვლივ იმდენი პოლიტიკური პრობლემაა, ჭადრაკის საკითხები, მათ შორის ფიდეში გაწევრიანებაც კი, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი მგონია.

**როცა ტურნირებიდან ბრუნდებით საქართველოში, ცვლილებებს თუ ამჩნევთ ხოლმე?**

— ცვლილებები დიდია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრება სულ უფრო ძნელდება, თუმცა ამ ყოფით საკითხებს არა უშავს, მთავარია ხალხი არ შეიცვალოს.

უცხოეთში ჩვენ ცოტა ვინმეს ვახსოვართ. ლიტვაზე თუ იტყვიან ხანდახან რამეს, თუმცა ადრე თვით ჟურნალისტებიც კი ყველას რუსებად გვთვლიდნენ. ახლა ბევრი მობოდიშებით გვეუბნება, მთელი საბჭოთა კავშირი ერთი მთლიანი გვეგონაო.

**მაია, ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი? იქნებ ისიც გვითხრათ, რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად ცხოვრებაში ჭადრაკის გარდა?**

— ერთი მეგობარი არა, მაგრამ მეგობრები მყავს. საერთოდ, პირად საკითხებზე არ მიყვარს ლაპარაკი.

**ჩვენს მოჭადრაკეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? მე თქვენი ერთობლივი მოქმედების პერსპექტივასაც ვგულისხმობ იმ მიზნებისთვის, წეღან რომ ვილაპარაკეთ.**

— ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ჭადრაკი ინდივიდუალური სპორტია, მაგრამ როცა საჭიროა, ჩვენ ერთად შეკავშირებული ვართ.

**ამას წინათ ტელევიზიით მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი გამოვიდა, თქვენი ნათესავი ყოფილა. მოწამეთა ულამაზესი ადგილია, გიყვართ იქ ხსიარული?**

— ქუთაისში ყველაზე მეტად გელათი მიყვარს, მოწამეთაც... გელათში ხშირად დავდივარ ხოლმე, უფრო საღამოობით, იქიდან მთელი ქუთაისი ჩანს, განათებული, თითქოს ხელისგულზეაო. ირგვლივ სიჩუმეა, ნამდვილი მონასტრული სიჩუმე. საერთოდ, ქუთაისს რომ მიუახლოვდები, მაშინვე იგრძნობ, რომ ნამდვილი ქართული ქალაქია, ბოლო ხანს იქ ბევრი რამ გაკეთდა, უკვე შვიდი ეკლესია მოქმედებს. ეს ძალიან კარგია...

ესაუბრა
**გიორგი ჩოჩიშვილი**
გია აბალაქის ფოტოები



# პაროლი: „გილოცავთ დაბადების დღეს"

მოსკოვში მუშაობს „სარბიელის" საკუთარი კორესპონდენტი აქსელ თბილელი. გთავაზობთ მის პირველ კორესპონდენციას

ვიცოდი, იმ დღეს ლუჟნიკში პრაღის „სპარტა" საწვრთნელ ვარჯიშს ატარებდა. მეც იქით გავეშურე. იმედი მქონდა, რომ სტადიონზე ვნახავდი და ინტერვიუს ჩამოვართმევდი გუნდის მწვრთნელს, სახელგანთქმულ ვაცლავ იეჟეკს. გზაში კიდევ ერთხელ გონების თვალი გადავავლე ცნობილი მწვრთნელის სპორტულ ცხოვრებას, გავიხსენე მისი მდიდარი „ნამსახურობის ნუსხა". სწორედ იეჟეკი იყო ის კაცი, ვისი ხელმძღვანელობითაც „სპარტამ" არაერთგზის იზეიმა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში გამარჯვება. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმაც იეჟეკის მეთაურობით მიაღწია თავის ყველაზე დიდ წარმატებას — ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იეჟეკი სათავეში ედგა ჰოლანდიის კლუბებს „ადო ჰააგს" და როტერდამის „ფეიენოორდს", შვეიცარიის „ციურიჰს"...

სტადიონზე ვარ. „სპარტა" უკვე მოთელვას იწყებს. თვალებით ვეძებ მწვრთნელს, მაგრამ ვერ ვხედავ. არა, ფეხბურთელებში კი ტრიალებს ვიღაც უძმური სუბიექტი, ჩვეულებრივ, „სამოქალაქო" ტანისამოსში, შუბლზე კეპჩამოფხატული. ერთი შეხედვით ჟან გაბენს ჰგავს, ცნობილ ფრანგ მსახიობს. რაღაც უცნაურად იქცევა. გეგონება, კაცი ტყეში დაიბნა და ახლა მარტო იმაზე ფიქრობს, აქედან როგორ გავიდეო... ამასობაში ფეხბურთელებმა ვარჯიში შეცვალეს. მერე სწრაფად დაიყვნენ და ორმხრივი თამაში გააჩაღეს. მსაჯი არა ჰყავთ და ყველა კონფლიქტს თავადვე აგვარებენ — სწრაფად, წყნარად, მშვიდობიანად.



ის ბირქუში კაცი ისევ უხმოდ დასეირნობს მინდორზე. ლოგიკა მიკარნახებს, რომ სწორედ ეს უნდა იყოს „სპარტის" მწვრთნელი, მაგრამ რა ვიცი, რაღაც უჩვეულოდ იქცევა. რამდენი კლუბის საწვრთნელ ვარჯიშს დავსწრებივარ, — მწვრთნელები მუდამ ყველაზე მეტად აქტიურობენ, ყველაზე ხშირად მათი ხმა ისმის, ეს კი დუმს, გეგონება პირში წყალი ჩაიგუბაო. რაც აქ ვარ, კრინტი არ დაუძრავს. ამასთან ლაპარაკი არ გინდა? ჩემს გვერდით ერთი ახალგაზრდა კაცი დგას, სპორტული გარეგნობის, პრაღის კლუბის ფორმაში გამოწყობილი. შეკითხვის უაზრობას, ცხადია, ვგრძნობ (ჩემი ანგარიშით, იეჟეკი სულ ცოტა სამოცს გადაცილებული უნდა იყოს), მაგრამ მაინც ვეკითხები:

მაპატიეთ, თქვენ ვაცლავ იეჟეკი ბრძანდებით?

— არა, მე გუნდის ექიმი ვარ. იეჟეკი აი, ის არის, კეპი რომ ახურავს. ინტერვიუ გინდათ ჩამოართვათ?

— იმედი მაქვს.

— პან ვაცლავს მატჩის წინ ჟურნალისტებთან ლაპარაკი არ უყვარს, — შემაპარა ექიმმა.

— მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს კაცი საერთოდ არ ლაპარაკობს.

— როგორ უკადრებათ, — გაეცინა ჩემს თანამოსაუბრეს, — მე ჟურნალისტებზე გეუბნებით... თუმცა, სცადეთ, იქნებ გაგიღიმოთ კიდეც ბედმა. დღეს პან ვაცლავის დაბადების დღეა, სამოცდაშვიდი წელი შეუსრულდა.

დაუფასებელი ინფორმაციაა. ამას აუცილებლად გამოვიყენებ.

მოულოდნელად ფეხბურთელებმა თამაში შეწყვიტეს, სწრაფად მოგროვდნენ და მწვრთნელის თანხლებით გასახდელისაკენ გაემართნენ. მეც მტკიცე ნაბიჯით გავყევი უკან იეჟეკს.

**გამარჯობათ, პან ვაცლავ,** — მივმართე ჩეხურად.

— გაგიმარჯოთ, — მიპასუხა მან ისე, რომ თავიც არ მოუბრუნებია. ჩემმა ჩეხურმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

**დაბადების დღეს გილოცავთ,** — კიდევ ერთ კოზირს ვიშველიებ.

— გმადლობთ, — თავი მოაბრუნა და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებს.

**შეიძლება ინტერვიუ გთხოვოთ ქართული გაზეთისთვის?**

— ო, საქართველო! „დინამო", თბილისი — იეჟეკს სახეზე რაღაც ღიმილის მაგვარმა გადაურბინა. თან სიტყვებზე ცერა თითიც შემართა, — დიდი გუნდი იყო, ნამდვილი სუპერკლუბი! ავტობუსთან დამელოდეთ, გზაში ვისაუბროთ.

სიხარულით ცას ვეწიე.

რამდენიმე წუთში ჩვენ უკვე ავტობუსის მოხერხებულ სავარძლებში ვისხედით. ის იყო პირველი შეკითხვისთვის მოვემზადე, რომ „სპარტის" მწვრთნელი უეცრად მოგონებებში გადაეშვა და ჩემი წინასწარ მომზადებული სცენარი თავდაყირა დააყენა.

— მშვენიერი ქალაქია თბილისი. ხალხიც შესანიშნავია, მაგრამ იქაურობა მაინც მწარედ მაგონდება. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ის თამაში თავიდან ბოლომდე ზუსტად მახსოვს. ყველა წვრილმანი. არ უნდა წაგვეგო ის მატჩი. „დინამო" დაწინაურდა — 1:0. ფრედრიქსონმა, შვედმა მსაჯმა, ჩვენ გუნდს ბურთი არ ჩაუთვალა. არადა, ანგარიში რომ გათანაბრებულიყო, თამაში სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ხომ გესმით, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტურნირებში სხვის მოედანზე გოლის გატანას, არაობიექტურმა მსაჯობამ კი ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყენა...

აქ იძულებული ვარ შევაწყვეტინო პან ვაცლავს, — აუცილებლად მიმაჩნია გავიხსენო 1981 წელი, როცა თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და იეჟეკის მაშინდელი გუნდი „ფეიენოორდი". თბილისელებმა სახელგანთქმული კლუბი თავიანთ მინდორზე დაამარცხეს ანგარიშით 3:0. „დინამომ" შესანიშნავად ჩაატარა საპასუხო მატჩიც ჰოლანდიაში. მართალია, თბილისელებმა იქ წააგეს — 0:2, მაგრამ ის მარცხი მთლიანად ავსტრიელი მსაჯის ფ. ფიორერის სინდისზეა (თუმცა ეს სიტყვა, მართალი გითხრათ, აქ აშკარად უადგილოდ მეჩვენება). ფიორერმა არ ჩათვალა თბილისელთა სამი (!) გოლი, არ დანიშნა აშკარა პენალტი მას შემდეგ, რაც შენგელია მოცელეს, მაგრამ სინდისს ოდნავაც არ შეუწუხებია, როცა თერთმეტმეტრიანს ნიშნავდა დინამოელთა კარში. მსაჯმა სულ ტყუილად გააფრთხილა ხინჩაგაშვილი და ყვითელი ბარათი ერთხელაც არ უჩვენებია მასპინძლებისათვის, რომლებიც აშკარად ურტყამდნენ თბილისელებს. ასეთი უმსგავსი მსაჯობა ალბათ საერთოდ არ ახსოვს საერთაშორისო მატჩების ისტორიას. ჩემთვის გამოცანად რჩება, რატომ არ მიიყვანა ფიორერმა თავისი ბნელი საქმე ლოგიკურ დასასრულამდე და რატომ არ დანიშნა სტუმრების კარში კიდევ ერთიორი პენალტი? ანგარიში 0:2 ხომ მაინც ხელს აძლევდა თბილისის გუნდს და ის გავიდა კიდეც ფინალში. საერთოდ იეჟეკთან საუბარში ვაპირებდი შევხებოდი ამ თემას, თუმცა კი ყოველნაირად ვცდილობდი, რაც შეიძლება დელიკატური ვყოფილიყავი. მაგრამ საუბარი ისე წარიმართა, დიპლომატიურ ეტიკეტს მოვეშვი და პირდაპირ მივახალე:

**როტერდამში როგორღა მოგეწონათ მსაჯობა?**

— მერე რა, — აუღელვებლად მომიგო იეჟეკმა. — რა იყო განსაკუთრებული? არა, შეიძლება უნდა ჩაეთვალა ერთი გოლი ჩვენს კარში, მაგრამ მთლად დარწმუნებული არა ვარ. არა, არა, მე მაინც მჯერა, თბილისში ფრედრიქსონის ის საბედისწერო შეცდომა რომ არა, ფინალში გასვლა შეგვეძლო.

ენა ჩამივარდა (იქნებ ასე სჯობდა კიდეც: რა ვიცი, რა შეიძლებოდა წამომცდენოდა ასეთ მდგომარეობაში მყოფს). ავღელდი. წამიერად ისიც კი გავიფიქრე, ეს ინტერვიუ ჯერ არ დაწყებულა და შეიძლება უკვე დამთავრდეს-მეთქი. ძნელი სათქმელია, რა მეწერა იმ დროს სახეზე, — მე ხომ ჩემს თავს ვერ ვხედავდი. სამაგიეროდ, პან ვაცლავი მხედავდა და, ეტყობა, ამის გამო, უცებ შემრიგებლური კილოთი დასძინა:

— ისე, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, მაშინ თქვენ უფრო ძლიერად ითამაშეთ და სავსებით დამსახურებულადაც გაიმარჯვეთ. ძალიან მომეწონა გუნდი. რა დიდებული ოსტატები იყვნენ: ჩივაძე, დარასელია, ყიფიანი, შენგელია, გუცაევი...

არა, არა, დიდებული კაცია ეს პან ვაცლავი! გული ამიჩუყდა. მინდა ჩემი მხრივ მეც ვასიამოვნო და ახლა ისეთ შეკითხვას ვაძლევ, რომლის პასუხიც ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს.

**პან ვაცლავ, ჩვენ უნებურად ისეთ ეპიზოდს შევეხეთ, რომელიც თქვენთვის მართლაც ვერ არის ტკბილი მოსაგონარი. მაგრამ სპორტული ცხოვრების გზაზე სიხარულიც ხომ ბევრჯერ გამოგიცდიათ. რას გაიხსენებთ?**

— რაღა თქმა უნდა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვებას 1976 წელს ევროპის ჩემპიონატში. საქმე მარტო ის როდია, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი, პრესტიჟული ტურნირი მოვიგეთ. პირველ ყოვლისა იმით ვამაყობ, რომ მაშინ ჩვენ ვაჯობეთ 1974 წლის მსოფლიო პირველობის ორ საუკეთესო ნაკრებს — ჰოლანდიისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებს.

**როგორც მწვრთნელს, ამ მატჩებიდან რომელმა მოგიტანათ მეტი კმაყოფილება?**

— ჰოლანდიელებთან შეხვედრამ. ჩემი აზრით, იმ პერიოდში ჰოლანდიის გუნდი სჯობდა დასავლეთ გერმანიისას, უფრო ძლიერად თამაშობდა. რამდენი ვარსკვლავი ჰყავდათ: სურბიერი, კროლი, ნეესკენსი, რენსენბრინკი და კრუიფი, რაღა თქმა უნდა. მთელი თამაში კრუიფზე იყო აგებული. ის იყო გუნდის ტვინი, მისი სული და გული. ამიტომ თამაშის წინ დობიაშსა და ჩაპკოვიჩს ვთხოვე, ყველაფერი ეღონათ, რომ კრუიფს ბურთი რაც შეიძლება იშვიათად ჩაეგდო ხელში. ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს ამოცანა. ჰოლანდიელთა ჩვეული თამაში დაირღვა, აღელდნენ, უხეშობა დაიწყეს და ერთი ფეხბურთელი, მგონი ნეესკენსი იყო, მინდვრიდანაც გააძევეს. დამატებით დროში ჩვენ პირდაპირ ხელიდან გამოვგლიჯეთ გამარჯვება ჰოლანდიას. იმ მატჩს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა: მივხვდით, რომ შეგვეძლო ევროპის ჩემპიონები გავმხდარიყავით.

**მიუხედავად იმისა, რომ ფინალში დასავლეთ გერმანიის გუნდს უნდა შეხვედროდით?**

— [illegible] გითხრათ, გერმანელები ჰოლანდიელებზე სუსტები იყვნენ-მეთქი. მართალია, გუნდში ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ მაიერი, ფოგტსი, ბეკენბაუერი, ჰოინესი. სამაგიეროდ, უკვე აღარ თამაშობდნენ ნეცერი და გერდ მიულერი. შეხვედრა ძალიან კარგად დავიწყეთ და მალე ორი ბურთიც გავიტანეთ. მესამის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ რაღაცნაირად დავმშვიდდით, მოვდუნდით და მალე გოლიც გავუშვით. ბიჭები ანერვიულდნენ, ანგარიშის შენარჩუნებისთვის დაიწყეს თამაში და, შეხვედრის დამთავრებას თხუთმეტი წამი რომ აკლდა, მეორე გოლიც გაუშვეს.

**რას გრძნობდით იმ მომენტში?**

— ძალიან მეწყინა, რასაკვირველია, მაგრამ მაინც მშვიდად ვიყავი. ეს ალბათ ძნელი ასახსნელია, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე არ მტოვებდა რწმენა, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდით.

**არც მატჩის შემდგომი პენალტების წინ შეგპარვიათ ამაში ეჭვი?**

— არა.

**რას ეუბნებოდით ფეხბურთელებს თერთმეტმეტრიანების დარტყმის წინ?**

— თქმით არაფერი მითქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი სიმშვიდე და რწმენა გუნდსაც გადაეცა. პენალტი ხუთივემ ზუსტად, მშვიდად დაარტყა, გეგონება საწვრთნელ ვარჯიშზე იყვნენ. მეტოქე კი შედრკა. ასე მოვიპოვეთ ევროპის უძლიერესი გუნდის სახელი. ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში.

**მწვრთნელად მუშაობის მანძილზე თქვენ ბევრი კლუბი გამოიცვალეთ. რით ახსნით ამას?**

— ვერ დაგეთანხმებით, ბევრი რატომ. ჩეხოსლოვაკიაში მარტო ერთ გუნდს — „სპარტას" ვხელმძღვანელობდი. კი, მართალია, რამდენჯერმე დავტოვე ის სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ ყოველთვის ისევ ამ გუნდში ვბრუნდებოდი. ასე რომ, ჩემი სიყვარულისთვის არ მიღალატია. თუ საზღვარგარეთის კლუბებს გულისხმობთ, იქ სამუშაოდ შემოსავლისთვის მივდიოდი.

**როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს თქვენი — როგორც მწვრთნელის კრედო?**

— წარმატებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: პირველ ყოვლისა, თავდაუზოგავი შრომა, თავდადება, საქმის ერთგულება, ფანატიზმი, თუ გნებავთ. მე ოჯახის პატრონი ვარ — ცოლიც მყავს, შვილებიც, შვილიშვილებიც, მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც ფეხბურთია. აი, ამას მოვითხოვ სხვებისგანაც.

**პან ვაცლავ, თავს დიქტატორად თვლით თუ დემოკრატად?**

— უდავოდ დემოკრატად. მაგრამ ამას მოურიდებელ „ძმაბიჭობაში" ნუ აურევთ. მე პატივს ვცემ პიროვნებას და არასდროს მივცემ თავს ნებას, ვინმე შეურაცხვყო ან დავამცირო. შემიძლია მოვისმინო მოთამაშეთა აზრი, ვაღიარო მათი სიმართლე, ვცდილობ სამართლიანი ვიყო. ამავე დროს, მომთხოვნი ვარ. თუ ჩემი მოთხოვნები ვინმეს ხელს არ აძლევს, ჩვენი გზები იყრება.

**რა პრინციპს მისდევთ: ჯერ ფეხბურთელი და მერე ტაქტიკა თუ ჯერ ტაქტიკა და მერე ფეხბურთელი?**

— ჯერ ტაქტიკა და მერე ფეხბურთელი. ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ მაქვს თამაშის რაღაც მკაცრი, უხეში სქემები და ვცდილობ ისინი ყველა მოთამაშეს მოვარგო. მე დოგმატიკოსი არა ვარ. ფეხბურთი შემოქმედებაა. დღეს ასე შეგვიძლია ვითამაშოთ, ხვალ — სხვაგვარად, სატურნირო ვითარების, კონკრეტული მეტოქის, გუნდის მდგომარეობისა თუ კიდევ ბევრი სხვა გარემოების შესაბამისად. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, მე მოთამაშეებს ვირჩევ არა რაიმე განსაზღვრული ტაქტიკური სქემის მიხედვით, არამედ მათი ადამიანური თვისებების გათვალისწინებით, ფეხბურთისადმი მათი დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

**„სპარტამ" ზამბიელი ფეხბურთელი მვიტვი და ამერიკელი ტრიტშაი თქვენი ინიციატივით აიყვანა?**

— დიახ, ჩემი ინიციატივით. მაგრამ, უნდა ვაღიარო, ჯერჯერობით ვერ ამართლებენ იმედს.

**თუ საიდუმლო არ არის, კონტრაქტის პირობები როგორია იყო?**

— ტრიტშაის შეძენაში ერთი ჩეხური წარმოშობის ამერიკელი დაგვეხმარა. მან ფეხბურთელს გადაუხადა 20 ათასი დოლარი — ერთ წელიწადში, ხოლო კლუბი ყოველ თვეში 10 ათას კრონს უხდის. ზამბიელს ჩეხოსლოვაკიაში თამაშის პერიოდში თავის სამშობლოში ყოველთვიურად 500 დოლარს უხდიან, ჩვენგან კი თვეში 20 ათას კრონს იღებს.

**ეთანხმებით იმ შეხედულებას, რომ თამაშს იგებს ფეხბურთელი და აგებს მწვრთნელი?**

— სავსებით ვეთანხმები.

**ხომ არ ამცირებთ თქვენს წვლილს ევროპის ჩემპიონატის მოგებაში?**

— როგორი გონიერული და კარგიც უნდა იყოს თამაშის გეგმა, მას ფეხბურთელები ასხამენ ხორცს. საშუალო გუნდმა თვით [illegible] გეგმაც კი შეიძლება ჩააგდოს. მაღალი კლასის გუნდს კი მწვრთნელის უნიჭო სქემის მიუხედავად შეუძლია გამარჯვება.

**რა აზრისა ხართ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე?**

— ამ ჩემპიონატმა ერთგვარად იმედი გამიცრუა. ტაქტიკური თვალსაზრისით მე იქ სიახლე ვერაფერი ვნახე და გულახდილად გეტყვით, არცა მგონია, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნას რაიმე პრინციპულად ახალი. იმედი გამიცრუა ზოგიერთმა გუნდმა და მოთამაშემაც. ეს არის ერთადერთი ჩემპიონატი, რაც მე მინახავს, რომლის დროსაც ვერც ერთი ნამდვილად მაღალი კლასის ფეხბურთელი ვერ აღმოვაჩინე. ფინალურ მატჩში არგენტინელების მონაწილეობამ, ჩემი აზრით, სრულიად დაუკარგა ფასი ამ პირველობას. როგორ შეიძლებოდა ასეთი უსახური, უფერული თამაშით ფინალამდე მისვლა? ეს ჩემთვის გამოცანად რჩება. მე ჯერ კიდევ მეხიკოში მივხვდი, რომ ბილარდო გენიოსია, მაგრამ მაშინ ის ბრწყინვალედ მოთამაშე მარადონამ დაჩრდილა. იტალიაში კი ბილარდომ შეძლო ამ საშუალო გუნდისაგან ასი კი არა, მისი შესაძლებლობების მთელი ორასი პროცენტი გამოეწურა.

**აი, ხედავთ, თურმე ზოგჯერ მწვრთნელებსაც შესძლებიათ მოგება.**

— ასე გამოდის, — ეღიმება იეჟეკს.

**მსოფლიო ჩემპიონებზე რას იტყვით?**

— საერთოდ, გერმანელებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა მათს თამაშში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ეგ არის, რომ ამ ჩემპიონატის მონაწილეებში მათზე ძლიერი არავინ აღმოჩნდა. იქნებ არაობიექტურობადაც ჩამითვალოთ, მაგრამ მერწმუნეთ ჩვენი გუნდი გერმანელებზე სუსტი არ იყო. ეს შორიდან მეთვალყურის აზრი არ გახლავთ, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე მრჩევლად ვიყავი მიწვეული გუნდში. მე ვთვლი, რომ ჩვენ დიდი ხანია არ გვყოლია ასეთი ძლიერი ნაკრები.

**შეგიძლიათ იწინასწარმეტყველოთ, როგორ განვითარდება ფეხბურთი მომავალში?**

— ფეხბურთი გახდება სულ უფრო მობილური, სულ უფრო ინტენსიური. ფეხბურთელთა მოქმედების დიაპაზონი თანდათან გაფართოვდება, რაც მათგან ფიზიკური კონდიციების სრულყოფას მოითხოვს. მომავლის ფეხბურთი სულ უფრო კონტაქტური უნდა იყოს. მოედნის ყველა უბანზე გამუდმებით იქნება მკაცრი, უხეში ბრძოლა და აქ განსაკუთრებული როლი დაეკისრებათ მსაჯებს. მათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არბიტრებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ ფიზიკურ მომზადებას, რათა შეძლონ გამუდმებით მოვლენათა შუაგულში ტრიალი, რათა არ გამოეპაროთ წესების არც ერთი, თუნდაც მცირე დარღვევა. ხომ ნახეთ, რა ხშირად ცდებოდნენ მსაჯები იტალიაში? შეცდომებს იწვევდა არა დაბალი კვალიფიკაცია და არაობიექტურობა (თუმცა არც ეს იყო გამორიცხული), არამედ პირველ ყოვლისა ის, რომ არბიტრები კვალში ვერ მიჰყვებოდნენ მატჩის მსვლელობას, ვერ ასწრებდნენ „შემთხვევის ადგილამდე" მისვლას და ამიტომ უჭირდათ სინამდვილის დადგენა.

ამასობაში ავტობუსი სასტუმროს მიადგა. მე მოვასწარი ბოლო შეკითხვის დასმა:

**რამდენ ხანს აპირებთ „სპარტასთან" მუშაობას?**

— მწვრთნელად მხოლოდ ახალ წლამდე დავრჩები, მაგრამ კლუბის მიტოვებას ჯერჯერობით არ ვაპირებ: ტექნიკურ დირექტორად ვიმუშავებ.

ავტობუსი რამდენიმე წუთს იდგა სასტუმროს სადგომზე, მაგრამ არც ერთი ფეხბურთელი ადგილიდან არ დაძრულა, რათა ჩვენი საუბრისთვის ხელი არ შეეშალათ. მერე მწვრთნელმა ლაკონიურად წარმოთქვა: „ხვალ ცხრაზე, ჰოლში!" და ფეხბურთელები მხოლოდ ამის შემდეგ გაემართნენ გასასვლელისკენ. მე ბატონ იეჟეკს მადლობა მოვახსენე საუბრისათვის და ყოველგვარი სიკეთე ვუსურვე.

იგი ამ სიტყვებით დამემშვიდობა:

— ვუსურვებ თბილისის გუნდს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს ევროპის ტურნირებს.

ღმერთმა გისმინოთ, პან იეჟეკ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის ბუმი „ცხვრის კუნძულებზე"





ევროპის ფეხბურთში სახელის მოსახვეჭად ხშირად წლებია საჭირო. ტორკილ ნილსენს ამდენ ხანს ცდა არ დასჭირვებია. იმისთვის, რომ ოცდაექვსი წლის ნახევარმცველს თავისი სახელი სამუდამოდ ჩაეწერა ისტორიაში, საკმარისი აღმოჩნდა— ერთადერთი ზუსტი, უშეცდომო დარტყმა.

დიახ, იმ ღირსახსოვარ დღეს ავსტრიის ეროვნული ნაკრების კარში გასული ერთადერთი გოლი ნილსენს ეკუთვნოდა, ხოლო ფარერის კუნძულების გუნდმა, რომლის ღირსებასაც ტორკილი იცავდა, თავისი დებიუტი საერთაშორისო ასპარეზობაში — ევროპის ჩემპიონატში — სენსაციური გამარჯვებით დააგვირგვინა. შინ დაბრუნებულ ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი, რაღა თქმა უნდა, ტორკილ ნილსენს, ეროვნული გმირების საკადრისი შეხვედრა მოუწყვეს. დიდი და პატარა ზეიმობდა. ერთ ღამეში ფარერის კუნძულებზე იმდენი ლუდი დაილია, რამდენიც ჩვეულებრივ ერთ კვირას ხყოფნის მთელ ამ პატარა ქვეყანას.

ამ ერთი დარტყმით ტორკილ ნილსენმა მარტო თვითონ კი არ მოიხვეჭა პოპულარობა, არამედ, პირველ ყოვლისა, სახელი გაუთქვა თავის ქვეყანას, რომლის არსებობაც მანამდე გეოგრაფიისა და ისტორიის სპეციალისტებმა უფრო იცოდნენ, ვიდრე ევროპელმა ფეხბურთის მოყვარულებმა. და როცა დაახლოებით წლინახევრის წინ ფიფა-ს სპეციალურ ბიულეტენში გამოჩნდა ცნობა, რომ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებას შეემატა კიდევ ერთი, 166-ე წევრი — ფარერის კუნძულების ფეხბურთის ფედერაცია, გულშემატკივრები ევროპის გეოგრაფიულ რუკებს მიუსხდნენ და მანამდე „უცნობი" ქვეყნის ძებნა დაიწყეს.

ფარერის არქიპელაგი, რომელიც თვრამეტი კუნძულისაგან შედგება, ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, შოტლანდიასა და ისლანდიას შორის, ნორვეგიისგან დასავლეთით მდებარეობს. თუ ლეგენდას ვერწმუნებით, რვაასი წლის წინათ ამერიკისკენ მიმავალი ხომალდიდან ზღვის ავადმყოფობის სასტიკი შეტევის გამო ამ კუნძულებზე გადამსხდარან ირლანდიელი ბერები და იქ სამუდამოდ საცხოვრებლად დარჩენილან. შემდგომ მათ მიწებს ვიკინგები დასხმიან თავს... 1948 წელს ფარერის კუნძულებმა ავტონომია მოიპოვა, თუმცა დანიის ტახტის მფარველობის ქვეშ დარჩა.

რაც შეეხება „ცხვრის კუნძულების" („ფარერის კუნძულები" ქართულად ასე ითარგმნება) ფეხბურთს, იგი ალბათ ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და მალე საუკუნოვან „იუბილესაც" გადაიხდის. აქ 1892 წელს დაარსდა კლუბი „ტვოროიარ ბოლტფელაგი", ხოლო „ჰავნარ ბოლტფელაგისა" და „კლაკსვიკარის" ისტორია 1904 წლიდან იწყება — იმ წლიდან, როცა ფიფა შეიქმნა.

ფარერის ფეხბურთის ფედერაცია, მართალია, 1979 წელს დაარსდა, მაგრამ კუნძულების ოფიციალური ჩემპიონატები 1942 წლიდან ტარდება. „ჰავნარ ბოლტფელაგმა" თხუთმეტ პირველობაში მოიპოვა უძლიერესის ტიტული, „კლაკსვიკარი" კი თორმეტგზის ჩემპიონია. კუნძულების მკვიდრთა შორის ფეხბურთის დიდ პოპულარობას თუნდაც ის მოწმობს, რომ ამ სახეობის ფედერაციაში რეგისტრირებულია 22 კლუბი და 5800 ფეხბურთელი. სხვათა შორის, ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი ოდნავ მეტია 48 ათასზე. ასე რომ, ფარერის კუნძულები პროცენტული შეფარდების მხრივ ფიფა-ს ყველა სხვა წევრზე წინ დგას.

პირველ ჩემპიონატში უძლიერესის სახელისათვის სულ ხუთი გუნდი იბრძოდა, დღეს კი უმაღლეს დივიზიონში ათი კლუბი თამაშობს. ათ-ათი გუნდია მეორე და მესამე ლიგებშიც. კიდევ თექვსმეტი გუნდი შედის მეოთხე ლიგაში, რომელიც ორ ზონადაა დაყოფილი. ჩემპიონატი აპრილში იწყება და სექტემბერში მთავრდება. ასპარეზობა ტარდება ტრადიციული ფორმულით: ორ წრედ, შინ და სტუმრად. გარდა ამისა, ყველა გუნდი მოყვარულებისაა და ფეხბურთელთა უმრავლესობა (როგორც ვაჟები, ისე ქალები) ზამთრობით, სიცივეებს დაიჭერს თუ არა, სპეციალობას იცვლის — ზოგი ხელბურთს თამაშობს, ზოგი ფრენბურთს თუ სხვა „დარბაზის სახეობებს" ირჩევს. ზოგჯერ ფარერის შედარებით ძლიერი პერსპექტიული ფეხბურთელები დანიაში ან შვეციაში მიემგზავრებიან ამ ქვეყნების გუნდებში სათამაშოდ.

ფეხბურთელთა ნაკრები კუნძულებზე 1980 წელს ჩამოყალიბდა და მხოლოდ დროდადრო მართავდა მატჩებს შოტლანდიის, გრენლანდიისა და ისლანდიის გუნდებთან. დროთა განმავლობაში „ცხვრის კუნძულების" ფეხბურთელთა საერთაშორისო კავშირები თანდათან გაფართოვდა. შეიქმნა ჭაბუკთა და იუნიორთა ნაკრები გუნდები, რეგულარული კონტაქტები დამყარდა დანიის, შვეციის, ნორვეგიის ფედერაციებთან. ფარერის ფეხბურთელები საერთაშორისო შეხვედრებს უფრო სტუმრად მართავდნენ, რადგან მათ კუნძულებზე ბალახსაფარიანი მოედნები არ იყო. იქ სტადიონებზე სინთეზური ბალახის საფარია დაგებული. ამგვარ მოედნებს, ცხადია, წვიმა და ქარბი ტენიანობა ვერაფერს აკლებს.

ფიფა-ს მიერ რეგისტრირებული პირველი მატჩი ფარერის კუნძულების ნაკრებმა ისლანდიაში ითამაშა და წააგო, მაგრამ ღირსეულად — 0:1. მალე ფარერელ ფეხბურთის გულშემატკივრებს პირველი დიდი სიხარული ელოდათ: ტორსჰავნში, კუნძულების მთავარ ქალაქში, სადაც 16 ათასი კაცი ცხოვრობს, 1989 წლის 14 აპრილს ჩატარდა პირველი „საშინაო" საერთაშორისო მატჩი ნაკრები გუნდების დონეზე. სამი ათას მაყურებელს ენით აუწერელი აღტაცება მოჰგვარა მასპინძელთა გამარჯვებამ კანადის გუნდთან — 1:0. ორი დღის შემდეგ კლაკსვიკში კანადელებმა რევანში აიღეს და იმავე ანგარიშით მოიგეს შეხვედრა, მაგრამ ამან საყოველთაო საზეიმო განწყობილება ოდნავაც ვერ გაანელა. ფარერელი გულშემატკივრებისათვის მთავარი ის იყო, რომ მათი ქვეყანა ბოლოს და ბოლოს ცნო ფეხბურთის სამყარომ, ფარერის პარლამენტმა დამატებითი სახსრებიც გამოყო ფეხბურთის განვითარებისა და ფედერაციის პოზიციის განმტკიცებისთვის, რომელმაც განაცხადი შეიტანა ევროპის 1992 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ფარერის კუნძულებზე ფეხბურთის ნამდვილი ბუმი დაიწყო.

ქვეყნის ნაკრები (ფორმა — თეთრი ცისფერი) დიდი მონდომებით შეუდგა მზადებას ევროპის სარბიელზე თავისი დებიუტისთვის. გუნდს სათავეში ჩაუდგა ოცდაათი წლის პალ გუდლაუგსონი, რომელიც ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე აქვს მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება — თექვსმეტი წლიდან ბავშვებთან მუშაობს. იგი დანიის ნაკრების სტილის დიდი თაყვანისმცემელია. მწვრთნელმა ეროვნულ

> 21 წლის იან ალან მიულერი პირველი პროფესიონალი ფეხბურთელია ფარერის კუნძულებზე. კლუბ „ვაგურის" თავდამსხმელი კუნძულ სუდეროიდან ამერიიდან ჰოლანდიის მეორე ლიგის კლუბ „გოუ ეჰედ იგლზის" ღირსებას დაიცავს. სპეციალისტთა აზრით ეს ახალგაზრდა ფორვარდი კარგი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა. მიულერს ახასიათებს დიდი სისწრაფე და დახვეწილი ტექნიკა. მან ყურადღება თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გამოსვლებით მიიქცია.

გუნდში მიიწვია ცხრამეტი მოყვარული ფეხბურთელი — ბანკის კლერკი, მეფუნთუშე, სტუდენტი, ინჟინერი, ავტომანქანებით მოვაჭრე, თევზის ქარხნის მუშა...

ფარერის ნაკრების დებიუტი ევროპის ჩემპიონატში ნეიტრალურ სტადიონზე შედგა, რადგან კუნძულებზე ჯერჯერობით არ არის საერთაშორისო მოთხოვნათა შესაფერისი მოედნები. ფარერელები ავსტრიელებს მასპინძლობდნენ შვეციის ქალაქ ლანდსკრუნაში. თამაში, როგორც უკვე ვთქვით, „სუპერსენსაციური" შედეგით დამთავრდა: დებიუტანტმა „მშრალი ანგარიშით" დაამარცხა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდი — 1:0. ტორკილ ნილსენმა გამანადგურებელი დარტყმით ბურთი გაიტანა 62-ე წუთზე.

კუნძულზე ფეხბურთისადმი ინტერესმა პირდაპირ კოსმოსური სისწრაფით იწყო ზრდა. გაჩაღდა აქცია დამატებითი სახსრების შესაგროვებლად, რათა გუნდი შემდეგი მატჩისათვის კიდევ უკეთესად მომზადებულიყო. მწვრთნელი და ფეხბურთელები ძირითადი სამუშაოსგან გაათავისუფლეს... მთელი ათი დღით. დანიაში, სადაც ფარერის ნაკრებს მეორე მატჩი უნდა ეთამაშა, ბილეთების ფასმა საგრძნობლად მოიმატა. კოპენჰაგენში გამართულმა ამ შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩს 88 ათასი მაყურებელი დაესწრო. დანიაში 5 ათასი გულშემატკივარი ჩავიდა ფარერის კუნძულებიდან (სხვათა შორის, ქვეყნის მთავრობამ მოგზაურობის ხარჯებში შეღავათი გაუწია იმ გულშემატკივრებს, რომლებიც არ ეწეოდნენ). თავიდან საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ ამჯერად სენსაცია მაინც არ მოხდა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მატჩის 22-ე წუთზე ფარერელმა ალან მორკორემ საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ მერე ისევ დანიელებმა გამოიდეს თავი და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 4:1.

ამ მარცხმა სტუმრებს გული ვერ გაუტეხა. მათ მიაღწიეს მთავარ მიზანს: ყველამ შეიტყო, რომ მსოფლიოში არსებობს ფარერის კუნძულები და რომ იქაც იციან ფეხბურთის თამაში...

**შალვა შალოლაშვილი**

**P.S.** ზარზან ამ ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვება იზეიმა „ტორსჰავნმა".



ნორვეგიელთან თამაშში „ტორსჰავნის" მოთამაშე იოჰანეს იაკობსენი (მარცხნივ) და ტოდი [illegible] „კლაკსვიკარიდან".

## წყალში ხტომა

მსოფლიო ჩემპიონატი. პერტი (ავსტრალია). 4 იანვარი. 10-მეტრიანი კოშკი (ქალები). 1. ფუ მინშა (ჩინეთი) - 426,51; 2. ელენა მიროშინა (სსრკ) - 402,87; 3. ვენდი ვილიამსი (აშშ) - 400,23. 5 იანვარი. 1-მეტრიანი ტრამპლინი (ვაჟები). 1. ედვინ იონგეიანსი (ჰოლანდია) - 588,51; 2. მარკ ლენცი (აშშ) - 578,22; 3. ვან იუცზი (ჩინეთი) - 577,86. 7 იანვარი. 1-მეტრიანი ტრამპლინი (ქალები). 1. გაო მინი (ჩინეთი) - 478.26; 2. ვენდი ლიუცერო (აშშ) - 467.82; 3. ჰაიდემარი ბარტოვა (ჩეხოსლოვაკია) - 449,76. 9 იანვარი. 3-მეტრიანი ტრამპლინი (ვაჟები). 1. კენტ ფერგიუსონი (აშშ) - 650,25; 2. ტან ლიანდე (ჩინეთი) - 643,95; 3. ალბინ კილატი (გერმანია) - 619.77; 11 იანვარი. 3-მეტრიანი ტრამპლინი (ქალები). 1. გაო მინი (ჩინეთი) - 539,01; 2. ირინა ლაშკო (სსრკ) - 524,70; 3. ბრიგიტა ბალდუსი (გერმანია) - 503,73. 13 იანვარი. 10-მეტრიანი კოშკი (ვაჟები). 1. შუვეი სუნი (ჩინეთი) - 629,79; 2. ნი სიუნი (ჩინეთი) - 603,81; 3. გიორგი ჩოგოვაძე (სსრკ) - 580,68.

## ცურვა

მსოფლიო ჩემპიონატი. პერტი (ავსტრალია).7 იანვარი. 100 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. ნიკოლ ჰეისლეტი (აშშ) - 55,17; 2. კატრინ პლევინსკი (საფრანგეთი) - 55,31; 3. ჩჟუან იუანი (ჩინეთი) - 55,65. 400 მ. კომპლექსური (ქალები). 1. ლინ ლი (ჩინეთი) - 4.41,45; 2. ჰეილი ლეიუსი (ავსტრალია) - 4.41,46; 3. სამერ სანდერსი (აშშ) - 4.43,41. 4X200 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. გერმანია (კევსტინ ვილგასი, მანუელა შტელმაჰი, დაგმარ ჰაზე, სტეფანი ორტვიგი) - 8.02,56; 2. ჰოლანდია (მარიანე მუისი, მანონ მასეურსი, მილდრედ მუისი, კარინ ბრიინესი) - 8.05,97; 3. დანია (გიტა იენსენი, ბერიტ პუგაარტი, ანეტ პოულსენი, მეტე იაკობსენი) - 8.07,20. აშშ-ის გუნდი დისკვალიფიცირებულია. 100 მ. ბრასი (ვაჟები) 1. ნორბერტ როსა (უნგრეთი) - 1.01.45 (მსოფლ. რეკ.): 2. ადრიან მურჰაუზი (დიდი ბრიტანეთი) - 1.01,58; 3. ჯანი მინერვინი (იტალია) - 1.01,74. 200 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები) 1. ჯორჯო ლამბერტი (იტალია) - 1.47,27; 2. სტეფენ ზესნერი (გერმანია) - 1.48,28; 3. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) - 1.48,70. 8 იანვარი. 200 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. ჰეილი ლეიუსი (ავსტრალია) - 2.00,48; 2. ჯანეტ ევანსი (აშშ) - 2.00,67; 3. მეტე იაკობსენი (დანია) - 2.00.93. 200 მ. ბრასი (ქალები). 1. ელენა ვოლკოვა (სსრკ) - 2.29,53; 2. ლინლეი ფრეიმი (ავსტრალია) - 2.30.02; 3. იანა დორისი (გერმანია) - 2.30,14. 100 მ. ბატერფლაი (ვაჟები). 1. ენტონი ნესტი (სურინამი) - 53,29; 2. მიჰაელ გროსი (გერმანია) - 53.21; 3. ვიაჩესლავ კულკოვი (სსრკ) - 53.74. 400 მ. კომპლექსური (ვაჟები). 1. ტამაშ დარნი (უნგრეთი) - 4.12,36; 2. ერიკ ნამესნიკი (აშშ) - 4.15,21; 3. სტეფანო ბატისტელი (იტალია) - 4.16,50. 4X200 თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. გერმანია (პეტერ ზიტი, სტეფენ ზესნერი, სტეფენ პფაიფერი, მიჰაელ გროსი) - 7.14,50; 2. აშშ (ტროი დ...ბეი, მელვინ სტიუარტი, დანიელ იორგენსენი, დუგ გერსტენი) - 7.14,37; 3. იტალია (ემანუელ იდინი, რობერტო გლერია, სტეფანო ბატისტელი, ჯორჯო ლამბერტი) - 7.17,18. 400 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. ჯანეტ ევანსი (აშშ) - 4.08,63; 2. ჰეილი ლეიუსი (ავსტრალია) - 4.09,40; 3. სუზუ ჩიბა (იაპონია) - 4.11,44. 100 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. მეტ ბიონდი (აშშ) - 49,18; 2. ტომი ვერნერი (შვეცია) - 49,63; 3. ჯორჯო ლამბერტი (იტალია) - 49,82. 100 მ. გულაღმა (ქალები). 1. კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი) - 1.01,78; 2. ტუნდე საბო (უნგრეთი) - 1.01,98; 3. ჯენი უოგსტაფი (აშშ) - 1.02,17. 200 მ. გულაღმა (ვაჟები). 1. მარტინ ლოპეს-სუბერო (ესპანეთი) - 1.59,52; 2. სტეფანო ბატისტელი (იტალია) - 1.59,98; 3. ვლადიმერ სელკოვი (სსრკ) - 2.00,33. 4X100 თავისუფალი სტილი (ქალები). 1. აშშ (ნიკოლ ჰეისლეტი, ჯული კუპერი, ხედჯჰეტი, ჯენი ტომპსონი) - 3.43,26; 2. გერმანია (სიმონე ოსიგუსი, კრისტინ ვილგასი, კარინ ზაიკი, მანუელა შტელმაჰი) - 3.44,37; 3. ჰოლანდია (მარიანე მუისი, ინგე დე ბრიუინი, მილდრედ მუისი, კარინ ბრიინესი) - 3.45,05. 11 იანვარი. 100 მ. ბატერფლაი (ქალები). 1. ციან ხუნი (ჩინეთი) - 59,68; 2. ვან სიაოხუნი (ჩინეთი) - 59,81; 3. კატრინ პლევინსკი (საფრანგეთი) - 59,88. 100 მ. ბრასი (ქალები). 1. ლინდლეი ფრეიმი (ავსტრალია) - 1.08,81; 2. იანა დორისი (გერმანია) - 1.09,35; 3. ელენა ვოლკოვა (სსრკ) - 1.09.66. 400 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. იორგ ჰოფმანი (გერმანია) - 3.48,04; 2. სტეფან პფაიფერი (გერმანია) - 3.48,86; 3. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) - 3.49,67. 200 მ. ბრასი (ვაჟები). 1. მაიკ ბეროუმენი (აშშ) - 2.11,23 (მსოფლ. რეკ.); 2. ნორბერტ როსა (უნგრეთი) - 2.12,03 (ევროპის რეკ.); 3. ნიკ ჯილინგჰემი (დიდი ბრიტანეთი) - 2.13,12. 4X100 თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. აშშ (ტომ ჯეგერი, ბრენდტ ლენგი, დუგ გერსტენი, მეტ ბიონდი) - 3.17,15; 2. გერმანია (პეტერ ზიტი, დირკ რიჰტერი, სტეფენ ზესნერი, ბენგტ სიკარსკი) - 3.18,88; 3. სსრკ (გენადი პრიგოდა, იური ბაშკატოვი, ბენიამინ ტაიანოვიჩი, ვლადიმერ ტკაჩენკო) - 3.18,97. 12 იანვარი. 200 მ. კომპლექსური (ქალები). 1. ლინ ლი (ჩინეთი) - 2.13,40; 2. სამერ სანდერსი (აშშ) - 2.14,06; 3. დანიელა ჰუნგერი (გერმანია) - 2.16,16. 200 მ. ბატერფლაი (ვაჟები). 1. მელვინ სტიუარტი (აშშ) - 1.55,69 (მსოფლ. რეკ.); 2. მიჰაელ გროსი (გერმანია) - 1.56,78; 3. ტამაშ დარნი (უნგრეთი) - 1.58,25. 50 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. ტომ ჯეგერი (აშშ) - 22,16; 2. მეტ ბიონდი (აშშ) - 22,26; 3. გენადი პრიგოდა (სსრკ) - 22,62. 800 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. ჯანეტ ევანსი (აშშ) - 8.24,05; 2. გრიტ მიულერი (გერმანია) - 8.30,20; 3. იანა ჰენკე (გერმანია) - 8.30,31. 100 მ. გულაღმა (ვაჟები). 1. ჯეფ როუზი (აშშ) - 55,23; 2. მარკ ტიუკსბერი (კანადა) - 55,29; 3. მარტინ ლოპეს-სუბერო (ესპანეთი) - 55,61. 4X100 კომბინირებული ესტაფეტა (ქალები). 1. აშშ (ჯენი უოგსტაფი, ტრეისი მაკფერლეინი, კრის ეიჰმან-ლეიტონი, ნიკოლ ჰეისლეტი) - 4.06,51; 2. ავსტრალია (ნიკოლ ლივინგსტონი, ლინლეი ფრეიმი, სიუზან ონეილი, კარენ ვან ვირდუმი) - 4.08,04; 3. გერმანია (სვენ შლიჰტი, იანა დორისი, სიუზანე მიულერი, მანუელა შტელმაჰი) - 4.10,50. 13 იანვარი. 200 მ. ბატერფლაი (ქალები). 1. სამერ სანდერსი (აშშ) - 2.09,24; 2. რიე შიტო (იაპონია) - 2.11,06; 3. ჰეილი ლეიუსი (ავსტრალია) - 2.11,09. 50 მ. თავისუფალი სტილი (ქალები). 1. ჩჟუან იუნი (ჩინეთი) - 25,47; 2-3. კატრინ პლევინსკი (საფრანგეთი), ლეი ფეტერი (აშშ) - 25,50. 200 მ. კომპლექსური (ვაჟები). 1. ტამაშ დარნი (უნგრეთი) - 1.59,36 (მსოფლ. რეკ.); 2. ერიკ ნამესნიკი (აშშ) - 2.01,87; 3. ქრისტიან გესნერი (გერმანია) - 2.02,36. 1500 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები). 1. იორგ ჰოფმანი (გერმანია) - 14.50,36 (მსოფლ. რეკ.); 2. კირენ პერკისი (ავსტრალია) - 14.50,58; 3. სტეფან პფაიფერი (გერმანია) - 14.59,34. 200 მ. გულაღმა (ქალები) 1. კრისტინ ეგერსეგი (უნგრეთი) - 2.09,15; 2. დაგმარ ჰაზე (გერმანია) - 2.12,01; 3. ჯენი უოგსტაფი (აშშ) - 2.13,14. 4X100 კომბინირებული ესტაფეტა (ვაჟები). 1. აშშ (ჯეფ როუზი, ერიკ ვუნდერლიჩი, მარკ ჰენდერსონი, მეტ ბიონდი) - 3.39,66; 2. სსრკ (ვლადიმერ შემეტოვი, დიმიტრი ვოლკოვი, ვიაჩესლავ კულიკოვი, ვენიამინ ტაიანოვიჩი) - 3.40,41; 3. გერმანია (ფრანკ ჰოფმაისტერი, ქრისტიან პოსვაიტი, მიჰაელ გროსი, დირკ რიჰტერი) - 3.42,12. 10 იანვარი. 25 კმ. მარათონი (ვაჟები). 1. ჩედ ჰანდები (აშშ) - 5:01.45,78; 2. სერჯიო კარიანტინი (იტალია) - 5:03.18,81; 3. დევიდ ო ბრაიენი (ავსტრალია) - 5:08.53,35. 25 კმ. მარათონი (ქალები). 1. შელი ტეილორ-სმიტი (ავსტრალია) - 5:21.05,53; 2. მარტა ჯანი (აშშ) - 5:25.16,67; 3. კარენ ბარტონი (აშშ) - 5:28.22,00.

## სინქრონული ცურვა.

მსოფლიო ჩემპიონატი. პერტი. (ავსტრალია). სოლისტები. 1. სილვი ფრეშეტი (კანადა) - 201,013; 2. კრისტინ ბები (აშშ) - 196,314; 3. მიკაკო კოტანი (იაპონია) - 195,110. 8 იანვარი. წყვილები. 1. სარა და კარენ ჯოზეფსონები (აშშ) - 199,762; 2. მიკაკო კოტანი და აკი ტაკაიამა (იაპონია) - 194,307; 3 კეტი გლენი და ლაიზა ალექსანდერი (კანადა) - 192,649. 12 იანვარი. გუნდური. 1. აშშ - 199,144; 2. კანადა - 193,259; 3. იაპონია - 189,753.

## წყალბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი. პერტი (ავსტრალია). ვაჟები. ფინალი: იუგოსლავია — ესპანეთი 8:7 (2:2, 1:1, 2:1, 3:3). მატჩი მე-3 ადგილისთვის: უნგრეთი — აშშ 13:12. 5. გერმანია; 6. იტალია; 7. სსრკ; 8. ავსტრალია.

## კალათბურთი

ევროპის ჩემპიონთა თასი. ვაჟები. „პოპ-84" (იუგოსლავია) — „არისი" (საბერძნეთი) - 71:92; „ბარსელონა" (ესპანეთი) — „მაქაბი" (ისრაელი) - 89:64; „ლიმოჟი" (საფრანგეთი) — „კინგსტონი" (ინგლისი) - 88:71; „ბაიერი" (გერმანია) — „სკავოლინი" (იტალია) - 99:112. „ბარსელონა" — 4 მოგება, „სკავოლინი" — 3, „ბაიერი", „არისი", „პოპ-84" და „მაქაბი" — 2-2, „ლიმოჟი" — 1, „კინგსტონი" — 0. ქალები. „ელექტროსილა" (სსრკ) — „ასტარაკი" (საფრანგეთი) - 104:81; „კონადი" (იტალია) — „სპორტინგი" (საბერძნეთი) - 98:67; „სალგარი" (ესპანეთი) — „არვიკა" (შვეცია) - 79:89. თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. „ა" ჯგუფი. „შოლე" (საფრანგეთი) — „კნორი" (იტალია) - 104:82; „დინამო" (მოსკოვი, სსრკ) — „ოვერი" (პორტუგალია) - 100:83. „ბ" ჯგუფი. პაოკ (საბერძნეთი) — „ჰაპოელი" (ისრაელი) - 107:77; „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — კაი (ესპანეთი) - 109:113.

## მშვილდოსნობა

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. თბილისი. „ფიტას დიდი წრე". ქალები. 1. ხათუნა ქერივიშვილი - 324 (მ-1 ვარჯიშში 1306 ქულა მოაგროვა); 2. ნატო ნასარიძე - 303 (1285); 3. ეკატერინე აბაიშვილი (სამივე — თბილისი) - 298 (1211). ვაჟები. 1. სერგო გათიკაევი (თბილისი) - 316 (1294); 2. სერგო ბერიძე - 312 (1117); 3. თამაზ ბასილაძე (ორივე — აჭარა) - 310 (1155). მ3-მ4. 1. ნასარიძე, 2. ირინა გრებენიკოვა, 3. ქერივიშვილი (სამივე - თბილისი). ვაჟები. 1. ვლადიმერ სვანაძე, 2. დავით ლეკვეიშვილი (ორივე — თბილისი), 3. გათიკაევი.

## მძლეოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. 11-13 იანვარი. ვაჟები. 60 მ. დ.ანტონოვი („დინამო") - 6,8. 200 მ. ა.ადამოვი („შევარდენი") - 22,8. 400 მ. ი.ივანოვი („დინამო") - 50,41. 800, 1500 და 3000 მ. ო.ხოხლოვი („შევარდენი") - 1.56,65, 3.52,10 და 8.30,19. 5 კმ სპორტული სიარული. ე.ურუშაძე („შევარდენი") - 22.48,10. 60 მ თარჯრბენი. 1. ე.გორგაძე („მართვე") - 8.02; 2. გ.ვეშაპიძე („შევარდენი") - 8.09. 2 კმ წინაღობებით. ზ.ზაილბერშტეინი - 5.50,89. სიგრძე. მ.მალისოვი - 7,58 მ. სიმაღლე. ვ.მინაკოვი - 2,10 მ. სამხტომი. ვ.მახარაძე - 15,68 მ. ჭოკი. ა.შეკონიანი (ყველა - „შევარდენი") - 3,80 მ. ბირთვი. მ.ყურაშვილი - 17,10 მ. ბადრო. ს.დევიატკინი (ორივე - „დინამო") - 50,70 მ. შუბი. ა.მატიაშვილი - 68,20 მ. ურო. ი.შავერდაშვილი (ორივე - „შევარდენი") - 74,04 მ. ქალები. 60 მ. 1. მ.აზარაშვილი - 7,2; 2. თ.შანიძე - 7,4. 400 მ. 1. ა.ტოროსიანი (ყველა—„შევარდენი") - 55,74; 2. მ.ხიდაშელი („დინამო") - 56,15. 800 მ. ე.თევზაძე - 2.18,63. 1500 მ. თ.ქოქოშვილი - 5.17,74. 60 მ თარჯრბენი. ქ.ზენდელიანი - 9,50. 3 კმ სპორტული სიარული. თ.ყარყარაშვილი -17.03,27. სიგრძე. ე.ჩაფიძე - 5.45 მ. სიმაღლე. ი.ტემჩინა -170 სმ. სამხტომი. ჩაფიძე (ყველა — „მართვე") - 12,55 მ. ბირთვი. ე.ურუსოვა - 15,75 მ. ბადრო. ნ.ონაშვილი (ორივე — „შევარდენი") - 48,48 მ. შუბი. მ.თიგიშვილი („მართვე") - 44,10 მ. გუნდური: 1. „შევარდენი"-I; 2. „მართვე"; 3. „შევარდენი"-II.



# ინგლისი

ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩებს ლიდერთა ჯგუფში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. „ლივერპულმა" ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი ბირმინგემში „ასტონ ვილასთან", „არსენალმა" შეძლო ქულის მოპოვება „ტოტენჰემთან" შეხვედრაში, თუმცა „არსენალის" მეკარე სიმენი რომ არა, შესაძლოა, „ტოტენჰემს" მატჩი დამაჯერებელი ანგარიშითაც მოეგო. „არსენალი" კვლავ რჩება ლიგის ერთადერთ გუნდად, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია. მიუხედავად ამისა, ლონდონელები ერთი ქულით ჩამორჩებიან „ლივერპულს". საქმე ისაა, რომ „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრისას მოთამაშეებს შორის ამტყდარი ჩხუბის გამო „არსენალს" ორი, ხოლო „იუნაიტედს" ერთი ქულა ჩამოაკლეს. „არსენალის" ხელმძღვანელობის აზრით, ამ სასჯელმა შექმნა საფეხბურთო მატჩების შედეგების კაბინეტებში და არა მოედანზე დადგენის არასასურველი პრეცენდენტი.

22-ე ტურის მატჩების შემდეგ ლიდერებს კიდევ უფრო მიუახლოვდა „კრისტალ პალასი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „შეფილდ იუნაიტედი" (1:0). ერ... დერთი გოლი 75-ე წუთზე ბრაითმა გაიტანა. „ლუტონი" შინ დამარცხდა „საუთჰემპტონთან" (3:4). გამარჯვებულთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს მეთიუ ლე ტისიემ და როდნი უოლასმა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაამარცხა „სანდერლენდი" (3:0). ორი ბურთი გაიტანა მარკ ჰიუზმა, ერთი — ბრაიან მაკკლერმა. „ჩელსიმ" მოუგო „ქუინზ პარკ რეინჯერსს" (2:0). ორივე გოლი შოტლანდიელი დიქსის ანგარიშზეა. ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა „ევერტონმა", ამჯერად — „მანჩესტერ სიტისთან" (2:0), მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ მე-12 ადგილზე იყო. „ნორიჩმა" მოუგო „ლიდსს" (2:0), ხოლო „უიმბლდონმა" — „დერბი ქაუნთის" (3:1).

საუკეთესო ბომბარდირთა სიას ლიდერობს ვეგერლე („ქუინზ პარკ რეინჯერსი"). — 14 ბურთი. მეორე ადგილზეა ფაშანუ („უიმბლდონი") — 13, ხოლო მესამეზე — ლე ტისიე („საუთჰემპტონი") — 12.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 21 | 15 | 4 | 2 | 41-16 | 49 |
| „არსენალი" | 22 | 14 | 8 | 0 | 41-10 | 48 |
| „კრისტალ პალასი" | 22 | 13 | 6 | 3 | 32-20 | 45 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 22 | 11 | 6 | 5 | 36-23 | 39 |
| „მანჩესტერ იუნ." | 22 | 11 | 6 | 5 | 35-23 | 38 |

ინგლისის თასის გათამაშების მესამე წრის შეხვედრებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია „ბლექბერნისა" და „ლივერპულის" მატჩმა. „ბლექბერნი" მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ „ლივერპულმა" 90-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ორი დღის შემდეგ კი გათამაშებისას დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე — 3:0.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია განიხილა ლონდონის „ჩელსის" საქმე. კლუბის ხელმძღვანელობა ამხილეს ფეხბურთელებისთვის უკანონო პრემიების მიცემაში. „ჩელსი" 105 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა. მსგავსი დანაშაულისათვის ჩემპიონატის დაწყებამდე „სვინდონ თაუნი" პირველი ჯგუფიდან მეორეში გადაიყვანეს.

# საფრანგეთი

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაიწყო საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ნახევარი. მიმომხილველთა ყურადღება მიპყრობილი იყო „მარსელისაკენ", სადაც „ოლიმპიკის" ახალი მწვრთნელის რაიმონდ გუტალსის დებიუტი უნდა შემდგარიყო. „ოლიმპიკმა" კარგად ითამაშა და დიდი ანგარიშით (7:0) დაამარცხა „ლიონი". 4 ბურთი გაიტანა ჟან პიერ პაპენმა, რომელიც 16 გოლით საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირია და საგრძნობლად უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ ბლანს („მონპელიე") — 11 გოლი. პაპენმა ამ სეზონში ერთხელ უკვე გაიტანა ერთ მატჩში 4 ბურთი — „სოშოსთან" შეხვედრაში.

„პარი სენ-ჟერმენმა" მოუგო „მონპელიეს" — 2:0. ბურთები სუშიჩმა და ანგლომამ გაიტანეს. „ბორდომ" ვერ შეძლო შინ „მეცის" დამარცხება, თუმცა წინ იყო თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში. საბოლოოდ, ფრე — 1:1. „ოსერი", რომელიც ამ ტურამდე მეორე ადგილზე იყო, დამარცხდა „სენტ ეტიენთან" (1:2) და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. „მონაკომ" მოუგო „ნანტს" — 2:1.

სხვა შეხვედრები: „ბრესტი" — „ტულონი" 2:2, „სოშო" — „კაენი" 1:0, „კანი" — „ნიცა" 2:1, „ტულუზა" — „ლილი" 2:2, „ნანსი" — „რენი" 0:0.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ გამოიტანა განაჩენი „ტულონისა" და „პარი სენ-ჟერმენის" მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვის შესახებ. ეს შეხვედრა 44-ე წუთზე შეწყდა, როდესაც მაყურებლის მიერ ნასროლმა რაკეტამ დაჭრა გვერდითი მსაჯი პატრიკ ბურდარე. „ტულონს" მოუხდება 60 ათასი ფრანკის გადახდა და შემდეგი ორი მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" | 22 | 15 | 3 | 4 | 43-18 | 33 |
| „მონაკო" | 22 | 10 | 8 | 4 | 27-20 | 28 |
| „ოსერი" | 22 | 10 | 7 | 5 | 32-21 | 27 |
| „მონპელიე" | 21 | 9 | 5 | 7 | 36-24 | 23 |
| „კაენი" | 22 | 7 | 8 | 7 | 23-20 | 22 |



მარსელის „ოლიმპიკის" წამყვანი მოთამაშე, საფრანგეთის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი, მარსელელთა კლუბის პრეზიდენტის ბერნარ ტაპის რჩეული ჟან-პიერ პაპენი მეტოქეთა კარის რისხვა რომაა, ჟურნალ „ონზ"-იდან გადმობეჭდილ ამ სურათშიც კარგად ჩანს. ამ ფოტოზე პაპენი აღბეჭდილია დასაევთან და ჩივაძესთან ბრძოლის დროს.




# წლობით დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად

# იანვრის მესამე შაბათს

## იწყება მოყვარულ მორაგბეთა „ხუთი ერის პირველობა“

...ამ ძველისძველ საერთაშორისო ...ჯიბრებას, რომელიც წლეულს ...მოცდამეორედ იმართება, საფუძველი ...ე ჩაეყარა:

...გასული საუკუნის 70-იან წლებში ...ტანულ ქვეყნებში ეროვნული ...კავშირების დაარსების კვალად ...თაშორისო თამაშების გამართვაც ...იწყეს, 1884 წლიდან კი ინგლისის, ...ტლანდიის, ირლანდიისა და უელსის ...კრებები უკვე ყოველწლიურად ...დებოდნენ ერთმანეთს. მერე იყო და ...905 წელს დიდი ბრიტანეთი ტრიუმ-...ით მოვლო ახალი ზელანდიის ...კრებმა. ტურნეს შემდეგ შინ ...მავალმა ზელანდიელებმა გზად ...ფრანგეთშიც შეიარეს და 1906 წლის ...იანვარს პარიზში ფრანგებს სძლიეს — ...8:8. ეხოდენ დიდი ანგარიშის ...უხედავად, ფრანგების მიერ ...ოგროვილმა რვა ქულამ ...რიტანელებზე ისე იმოქმედა, რომ მათ ...თხვად გადაწყვიტეს, თავიანთ წრეში ...რანგებიც მიეღოთ და მათთანაც ...ველწლიურად ეთამაშათ. ოთხივე ...რიტანული ქვეყნის საფრანგეთთან ასე ...ჯიბრება პირველად 1910 წელს ...შედგა და იმ წლიდან მოყოლებული ...ეთი „ერის პირველობა“, მსოფლიო ...მების და 1930-იან წლებში ...რანგეთთან ბრიტანელთა დროებითი ...ყურების წლების გამოკლებით, ...ეგულარულად იმართება.

...დღემდე გამართული პირველობების ...დეგთა დაჯამებით ერთობ ...გულისხმო ცხრილს ვიღებთ:

| | თ. | ქ. | ჩ. | ი. | „ფ“ | „დ“ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 243 | 288 | 22 | 15 | 6 | 1 |
| ინგლისი | 244 | 266 | 19 | 13 | 8 | 2 |
| საფრანგეთი | 243 | 237 | 17 | 9 | 4 | 8 |
| ირლანდია | 242 | 217 | 11 | 5 | 1 | 6 |
| შოტლანდია | 242 | 206 | 10 | 4 | 3 | 9 |

პირველ ორ სვეტს განმარტება არ სჭირდება. მესამე სვეტი გვიჩვენებს, ვინ რამდენჯერ გამხდარა ჩემპიონი, მეოთხე კი — შეჯიბრებაში ერთპიროვნულად რამდენჯერ გაუმარჯვნია. საქმე ისაა, რომ თუ გუნდები ქულებს თანაბრად დააგროვებენ უკეთეს ადგილს, მათ შორის — პირველსაც ერთმანეთში იყოფენ. ასე რომ, 11-ჯერ ორ-ორი გუნდი გამხდარა თანაჩემპიონი, ორჯერ — სამ-სამი, ერთხელ, 1973 წელს კი — ხუთი-ვე (!).

ბოლო ორი სვეტი გვიჩვენებს, ჩემპიონატებში ვინ რამდენჯერ მოაგროვა ქულათა მაქსიმუმი — რვა (ამას „დიდი სლემი“ ჰქვია) და რამდენჯერ დარჩა უქულოდ (ამას ინგლისურად „ვაითვოშს“ ეძახიან).

შეჯიბრების განრიგთა შედგენისას თამაშების როტაცია იმგვარია, რომ ყოველი პირველობა ორი წლის წინანდელი ბოლო ტურის შესაბამისად იწყება. ეს ტრადიცია წლევანდელ სტარტს დამატებით ინტერესს სძენს.

საქმე ისაა, რომ 1989 წლის პირველობის ფინიშზე „სავაითვოშოდ“ განწირულმა უელსმა კვანტი დაუდო საჩემპიონოდ გამზადებულ ინგლისს: კარდიფის „არმზ პარკის“ ატალახებულ მინდორზე ომი გაუმართა, შეცდომაზე დაიჭირა და ერთობ საჰოჰმანო ლელოს წყალობით გაიმარჯვა. ამით მშვენივრად ისარგებლა საფრანგეთმა, პარიზის „პარკ დე პრენსზე“ დამაჯერებლად



მოუგო ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტს — შოტლანდიას და მასა და ინგლისს ქულით გადაასწრო.

ამ ამბების შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ფულს დახარბებული ვარსკვლავების ცამეტკაციან რაგბში გადასვლით დასუსტებული უელსი კიდევ უფრო დაჩაჩანაკდა და შარშან პირველი „ვაითვოშიც“ იწვნია. გაუჭირდა საფრანგეთსაც, რაკილა „პატარა ნაპოლეონად“ შერაცხული ჟაკ ფურუს „ნოვატორულმა“ იდეებმა ბოლოსდაბოლოს დააქცია ეროვნული ნაკრები.

საქმე ისაა, რომ ეს, აწ უკვე გადაყენებული მწვრთნელი ბარემ ერთი ათწლეულია, რაც ნაკრებიდან თანდათან ისტუმრებდა ტექნიკურ მოთამაშეებს და მათ ადგილზე მარდი, ღონიერი და მებრძოლი ბიჭები მოჰ-ყავდა. გარდა ამისა, ფურუ ისე შეიპყრო ექსპერიმენტებმა, რომ შერკინების პირველ ხაზში კვაჰი მესამე ბურჯით შეცვალა, დერეფანში ბურთის კიდიდან მოწოდება კი შერკინების ნახევარმცველს დააკისრა.

ერთი სიტყვით, ვერც ამ სიახლეებმა გაამართლეს და ვერც ფურუს ცდამ, „ლურჯი“ საფრანგეთი „შავი“ ახალი ზელანდიისათვის რომ დაემსგავსებინა (კვართების ფერიდან გამომდინარე). სამაგიეროდ, გამართლდა ფურუს კრიტიკოსთა პროგნოზი, „თუ ასე გაგრძელდა, ფრანგულ ხელწერას მთლად დავკარგავთო“.

ამასობაში ინგლისი და შოტლანდია მეტად გაძლიერდნენ და ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან ერთად დღესდღეობით მსოფლიო რაგბის ლიდერებად გვევლინებიან. ინგლისს დიდად, არგო 1987 წლის შემოდგომიდან საკლუბო ეროვნული ჩემპიონატების გამართვის შემოღებამ — ყველაფერი დაიწმინდა, მოეწესრიგდა და ეროვნული საქმე საკეთილდღეოდ მიიმართა. რაც შეეხება შოტლანდიას, დიდ მოთამაშეთა მორიგი პლეადის — გ.ჰესტინგზის (15), ჩალმერსის (10), არმსტრონგის (9), სოულის (1), ჯეფრისა (6) და ქოლდერის (7) გამობრწყინების გარდა ამ გუნდს ჰყავს უდიდესი მწვრთნელი — იენ მაკგიჭანი.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ინგლისი ერთი თავით აღემატება უელსს, შარშანდელი ჩემპიონი და „დიდი სლემის“ პატრონი შოტლანდია კი — საფრანგეთს, მაინც ძნელი სათქმელია, ფავორიტები სტუმრად გაიმარჯვებენ თუ ვერა. რაც უნდა იყოს, ინგლისს კარდიფში 1963 წლის შემდეგ არ მოუგია, შოტლანდიას პარიზში კი — 1969 წლიდან. აი, რაც შეეხება სრულ სტატისტიკას, უელსი ერთადერთი გუნდია, ვისაც ინგლისთან დადებითი ბალანსი აქვს: 47 მოგება, 12 ფრე, 37 წაგება. საფრანგეთ-შოტლანდიის შეხვედრებში ამ მხრივ წონასწორობაა: გუნდებს 29-29 თამაში აქვთ მოგებული, კიდევ სამი კი ფრედ დამთავრდა.

### მომდევნო ტურების განრიგი

2 თებერვალი. ირლანდია—საფრანგეთი, შოტლანდია—უელსი.
16 თებერვალი. უელსი—ირლანდია, ინგლისი—შოტლანდია.
2 მარტი. საფრანგეთი—უელსი, ირლანდია—ინგლისი.
16 მარტი. ინგლისი—საფრანგეთი, შოტლანდია—ირლანდია.

სურათზე: უელსისა და ინგლისის ნაკრებთა ორი წლის წინანდელი შეხვედრის მომენტი. მაშინ უელსელებმა გაიმარჯვეს — 12:9.

გვერდი მოამზადა ზაალ ბიბინეიშვილმა.

# იდეამ გაამართლა, ძმაბიჭობამ — ვერა

...წლების მანძილზე ორ ბანაკად გახლეჩილი ქართული რაგბის სამყარო ...შან, როგორც იქნა, გამთლიანდა: სხრკ ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა ...წ. „მემლუქებმა“) მოწყალე თვალით შეხედეს (თუ სხვებმა „შეახედეს“?) ...ართველოს პირველობას და ჩაებნენ კიდეც შეჯიბრებაში, ჩვენმა შინაურმა, ...ათმა გუნდებმა კი ბოლოს და ბოლოს ირწმუნეს, რომ მათ არსებობასაც ...აც აზრი ჰქონია, და მთელი წლის მანძილზე სისტემატურად თამაშით ...ედნილი 1980-იანი წლები ოდნავ მაინც აინაზღაურეს. ერთი სიტყვით, ...მდე მთლად გაუცხოებულმა და ერთურთთან დაუზრებულმა ორივე ...რომ შარშან ასე თუ ისე შეიგნო (ყოველ შემთხვევაში, უნდა შეეგნო), რომ ...ი ქვეყნის, ერთი მიკროსამყაროს შვილები არიან და სწორედ მათ ...თობლივ ძალისხმევაზე — და არა სხვისი ხელის შემყურეობაზეა ...დამოკიდებული საქართველოში რაგბის მომავალი.

...ოკლედ რომ ვთქვათ, ჩემპიონატის გამართვის იდეამ გაამართლა. ...ამართლა იმის მიუხედავად, რომ ოთხი გუნდის ერთდროულად საშინაო ...სამყარო სარბიელზე ასპარეზობამ მრავალგზის არია ეროვნული ...ჩემპიონატის შეხვედრათა განრიგი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ კალენდრით ...ვალისწინებული 102 შეხვედრიდან 10, ე. ი. ლამის ყოველი მეათე (!), არც ...ჩატარებულა; ამასთან, ორ მატჩში მტყუან-მართლის დროულად, ანუ ...ჩემპიონატის დამთავრებამდე გარკვევა ვერც მოესწრო და, თუ არ ვცდები, ...გ ვინმეს უცდია. აი ამიტომაა, რომ ჩემპიონატის ოფიციალური ცხრილი ...ც კი საბოლოოა, მაგრამ ერთგვარად დაუსრულებელიცაა.

### ოფიციალური ცხრილი
### უძლიერესთა ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ელმავალი“ | 13 | 13 | 0 | 0 | 457:106 | 26 |
| „აია“ (ქუთ) | 13 | 10 | 0 | 3 | 269:137 | 20 |
| „მიმინო“ | 14 | 8 | 1 | 5 | 299:215 | 17 |
| „ასოციაცია“ | 14 | 8 | 1 | 5 | 206:262 | 17 |

...ფინალები:
I ადგილისთვის. „ელმავალი“ — „აია“ 3:10
III ადგილისთვის. „მიმინო“ — „ასოციაცია“ 22:19

### სანუგეშო ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბელათი“ (ქუთ) | 18 | 12 | 0 | 6 | 320:186 | 24 |
| „ამირეთი“ (ქუთ) | 18 | 11 | 1 | 6 | 283:209 | 23 |
| „აკადემია“ | 18 | 9 | 1 | 8 | 213:224 | 19 |
| „ტექუნტი“ (სტუ) | 17 | 9 | 0 | 8 | 296:226 | 18 |
| „შევარდენი“ (სხი) | 18 | 8 | 0 | 10 | 206:278 | 16 |
| „ზოოვეტი“ | 18 | 3 | 0 | 15 | 216:402 | 6 |
| 1. „სათაფლია“ (წყალ.) | 17 | 3 | 0 | 14 | 148:345 | 6 |
| 2. „უნივერსიტეტი“ | 18 | 2 | 0 | 16 | 184:477 | 4 |

შენიშვნა: აქ და ქვემოთაც თბილისის გუნდებს სადაურობა არ უწერიათ.

## ...რეკორდებიც მრავლად იყო

საბოლოო ცხრილები პირველობის გამართვის წესის შესახებ ვერაფერს გვეუბნება. არადა, შეჯიბრება 1989 წლის სეზონის შედეგების გათვალისწინებით შედგენილ ორ ქვეჯგუფად დაიწყო. სამწუხაროდ, როგორც ახლა გაირკვა, ეს ქვეჯგუფები, მათი ოდენ სპორტული პრინციპით შედგენის მიუხედავად, ტოლძალოვანი მაინც ვერ გამოვიდა. თავად განსაჯეთ: საბოლოო ცხრილში ერთი ქვეჯგუფის გუნდებმა მეორის წარმომადგენლებს საგრძნობლად გაუსწრეს: „აიამ“ აჯობა „ელმავალს“, „მიმინომ“ — „ასოციაციას“, „ამირეთმა“, „აკადემიამ“, „ტექუნტმა“ და „შევარდენმა“ კი დიდი სხვაობით ჩამოიტოვეს სამი მაჩანჩალა, რომლებიც ასევე მეორე ქვეჯგუფელები იყვნენ. მხოლოდ „ბელათმა“ შეძლო თავისი ქვეჯგუფის ღირსების ასე თუ ისე დაცვა და სანუგეშო ჯგუფში გამარჯვება.

ზემოთქმულის გარდა, ცხრილი, რაღა თქმა უნდა, ვერ მიგვანიშნებს იმას, თუ რამდენად დაძაბული იყო ჩემპიონატი. და მაინც, საინტერესოა ერთი მონაცემი: 14 მატჩში გაიმარჯვა გუნდმა, რომელმაც საბოლოო ცხრილში მეტოქეზე დაბალი ადგილი დაიკავა თავისზე სუსტებთან დამარცხების, ე. ი. არასტაბილურობის რეკორდი შარშან „აკადემიამ“ დაამყარა — სამხატვრო აკადემიის ამ ერთობ კოლორიტულმა გუნდმა ამგვარად 4 თამაში წააგო.

აი, გამოუცხადებლობის რეკორდი კი — სამი წაგება ანგარიშით 0:30 — „შევარდენს“ ეკუთვნის. ამის გამოცაა, რომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პირველობის სანაცვლო, ალტერნატიული ცხრილის შედგენა. ამ ცხრილში ჩაითვლებოდა მხოლოდ ნათამაშევი შეხვედრების შედეგები, კაბინეტებში დადგენილი სანქციებისა და ჩემპიონატის ეტაპობრიობის მიუხედავად, და ქულათა დარიცხვაც იმ წესით მოხდებოდა, შარშანდელ შეჯიბრებაში თავდაპირველად რომ მოქმედებდა.

საქმე ისაა, რომ, ვიდრე სარაგბო საზოგადოებრიობა გარიგებულ თამაშთა მომრავლების გამო განგაშს ატეხდა, გუნდებს ქულები ე. წ. ახალზელანდიური სისტემით ერიცხებოდათ: მოგებისათვის — 4, ფრესათვის — 2, ექვსი ან ნაკლები ბურთით წაგებისათვის — 1, მეტი სხვაობით წაგებისათვის კი — 0. უეჭველია, ეს წესი ერთობ ვაჟკაცური და გონივრულია; ოღონდ, მან რომ იმოქმედოს, ამისთვის გუნდებს აღალი მეტოქეობის სულისკვეთება ძვალ-რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი.

აი, ჩვენთან კი ასე არ ყოფილა. რაკილა გამარჯვებულს არაფერი მოაკლდებოდა, სუსტი გუნდი ძლიერს ეხვეწებოდა, „დიდი სხვაობით ნუ მომიგებო“, და ძმაბიჭური „გაგებიდან“ გამომდინარე, ძლიერიც ყაბულს იყო. ერთი სიტყვით, გაჩაღდა აღებმიცემობა, რის ასაკვეთადაც შუა სეზონში ქულათა დარიცხვის კლასიკურ სისტემას დავუბრუნდით.

ასე იყო თუ ისე, თუ უეჭველად „გარიგებულ“, ერთი ქულის მომტან წაგებებს ნულქულიანებად ჩავთვლით, მაშინ სანაცვლო ცხრილი ასეთი გამოგვივა:

### სანაცვლო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | ლ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ელმავალი“ | 13(16) | 12 | 0 | 0 | 1 | 92.31 |
| „აია“ | 9(16) | 7 | 0 | 1 | 1 | 85.56 |
| „ბელათი“ | 15(18) | 10 | 0 | 4 | 1 | 73.33 |
| „მიმინო“ | 14(16) | 9 | 1 | 2 | 2 | 71.43 |
| „ასოციაცია“ | 13(16) | 8 | 1 | 1 | 3 | 67.31 |
| „ამირეთი“ | 18(18) | 11 | 1 | 1 | 5 | 65.28 |
| „ტექუნტი“ | 17(18) | 9 | 0 | 4 | 4 | 58.82 |
| „აკადემია“ | 17(18) | 8 | 1 | 5 | 3 | 57.35 |
| „შევარდენი“ | 15(18) | 8 | 0 | 2 | 5 | 56.67 |
| „ზოოვეტი“ | 18(18) | 3 | 0 | 5 | 10 | 23.61 |
| „სათაფლია“ | 17(18) | 3 | 0 | 1 | 13 | 19.12 |
| „უნივერსიტეტი“ | 18(18) | 2 | 0 | 3 | 13 | 15.28 |

შენიშვნები: ფრჩხილებში წერია წესით გასამართ შეხვედრათა რაოდენობა; „ლ“ სვეტში მოტანილია „ღირსეულად“ (ექვსი ან ნაკლები ბურთის სხვაობით) წაგებული მატჩების რაოდენობა; ქულები გამოხატულია პროცენტებით.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსგავს ცხრილებს ადგენენ ინგლისსა და უელსშიც, სადაც ეროვნული ჩემპიონატების შემოღების მიუხედავად, გუნდები არასაჩემპიონატო შეხვედრებსაც მრავლად მართავენ. იქ ამ ცხრილებს „დამსახურებათა ნუსხებს“ ეწოდება და გუნდების ფარდობითი სიძლიერის განსასაზღვრავად გამოიყენება.

დასასრულ, სამი მრავლისმეტყველი რეკორდის შესახებ, შარშანდელი პირველობის დროს რომ დამყარდა.

პირველი რეკორდი: საქართველოს ორი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრა ამ მატჩების ისტორიის 28 წლის მანძილზე პირველად (!) მოეწყო ქართული რაგბის „ნავსაყუდელში“ — ვაკის სტადიონზე. როგორ არ გავიხსენოთ აქ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების ტრადიციული შეხვედრები, ერთთავად ინგლისური რაგბის „ნავსაყუდელში“ — თვიკნემში რომ იმართება?!

მეორე რეკორდი: „ელმავალ“ — „სათაფლიას“ პირველი წრის შეხვედრა ექვსჯერ (!) დაინიშნა: 31 მარტს, 7 აპრილს, 16 ივნისს, 11 ივლისს, 3 სექტემბერს და 6 დეკემბერს, მაგრამ მატჩის გამართვას თავი ვერაფრით დაედგა.

და მესამე, პირადული რეკორდი: „შევარდენ“ — „ზოოვეტის“ შეხვედრაში (24:9) მასპინძელთა გარე ნახევარმცველმა ნიკო („ბეირუთ“) იურინმა ბურთი უკლებლივ ყველა ხერხით გაიტანა: 2 ლელოთი, 2 გარდასახვით, 3 საჯარიმოთი და 1 არეკნით გუნდის მიერ იმ დღეს მოპოვებული 24-ვე ქულა მას ეკუთვნის. ვფიქრობ, ეს შედეგი გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი!

# ვნებათაღელვა მილიონების გამო




ევანდერ ჰოლიფილდი

ევანდერ ჰოლიფილდი — მსოფლიოს ამჟამინდელი აბსოლუტური ჩემპიონი პროფესიონალ მოკრივეთა შორის - შეიძლება სულ მალე სასამართლოს წინაშე წარდგეს. ჩემპიონს ბრალად ედება მოკრივეთა საერთაშორისო წესების უგულებელყოფა. სასამართლოში სარჩელი შეიტანა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მაიკ ტაისონმა, რომელსაც მოკრივეთა სამივე საერთაშორისო ორგანიზაცია პლანეტის უძლიერესი მძიმეწონოსნის წოდების უპირველეს პრეტენდენტად აღიარებს.

კონფლიქტი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, ჯეიმს „ბასტერ" დუგლასსა და ევანდერ ჰოლიფილდს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის გამართული „სენსაციური" მატჩის დამთავრებისთანავე. ეს ორთაბრძოლა, რომელსაც ლას-ვეგასის ფეშენებელურ ოტელ „მირაჟში" 25 ოქტომბერს 16 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს, თორმეტის ნაცვლად სამ არასრულ რაუნდს გაგრძელდა. ჰოლიფილდის უძლიერესი ჰუკი მარჯვნიდან და... ჩემპიონი მოცელილივით გაიშხლართა იატაკზე და თითქმის ოთხ წუთს ასე გაუნძრევლად იწვა.

შარშან, 11 თებერვალს, დუგლასმა, ყველასთვის მოულოდნელად, ტიტული ჩამოართვა ტაისონს და ახლა ასევე მოულოდნელად გადააბარა თავისი უფლებამოსილებანი 28 წლის ევანდერ ჰოლიფილდს. ყოფილ ჩემპიონს ამ ორთაბრძოლისთვის ათი ზედმეტი კილოგრამი „დაუგროვდა" და, რეიტერის სააგენტოს მიმომხილველის მოსწრებული თქმით, ახლა იგი ჰგავდა „პუდინგს, რომელიც შვიდ წუთში გადასანსლეს".

— ასეთი წონის პატრონი ლოგინში უნდა გორაობდეს, რინგზე რა ესაქმება? — ირონიულად შენიშნავდა ჰოლიფილდის მენეჯერი ლუ დუვა.

— მე მომეჩვენა, რომ დუგლასს შეეძლო წამოდგომა, მაგრამ განზრახ არა ქნა ეს, — თქვა ბრძოლის დამთავრების შემდეგ რინგის მსაჯმა მილ ლეინმა.

— გაოგნებული ვარ. ის, რაც დღეს აქ მოხდა, წარმოუდგენლად მეჩვენება. დუგლასი საზიზღარი სანახავი იყო. ამ კაცს ფულის მეტი არაფერი აინტერესებს, მაყურებელს იოტისოდენა პატივსაც არ სცემს, — ასე გამოხატა თავისი აღშფოთება მაიკ ტაისონმა.

ექსჩემპიონის სიტყვები საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. თავად განსაჯეთ: რა შედეგითაც უნდა დამთავრებულიყო ბრძოლა, დუგლასი 24 მილიონ დოლარს მიიღებდა, ჰოლიფილდი — 8 მილიონს.

ჰოლიფილდის გამარჯვებამ ძალზე გაურთულა საქმე მაიკ ტაისონს, რომელიც დაკარგული ტიტულის დაბრუნებაზე ოცნებობს. ახლა ამ ოცნების ასრულება გაურკვეველი ვადით გადაიდო. დუგლასს რომ მოეგო, ტაისონი უკვე აპრილში მიიღებდა მატჩ-რევანშის უფლებას.

— თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მზად ვარ ნებისმიერ მეტოქეს შევხვდე, მაგრამ რა ვქნა, ხელები შეკრული მაქვს, — ჩივის 24 წლის მოკრივე.

მისი სათქმელი ნათელია: ექსჩემპიონს ჰოლიფილთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევენ. ეს განაცხადა კიდეც ევანდერის მენეჯერმა ლუ დუვამ. იგი ამბობს, რომ ჰოლიფილდი ჯერ ჯორჯ ფორმენს უნდა შეხვდეს, რადგან მასთან კონტრაქტი დუგლასთან მატჩის წინ დადეს და ახლა ხელშეკრულების დარღვევას არავინ აპირებს.

ჰოლიფილდისა და ფორმენის ორთაბრძოლა 19 აპრილისთვის არის დანიშნული. რაც შეეხება ტაისონთან შეხვედრას, დუვა ამბობს, რომ იგი შემოდგომამდე მაინც არ შედგება.

— მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ჰოლიფილდმა პასუხი უნდა აგოს, — განრისხებას არ მალავს ტაისონი.

სხვათა შორის, მას მხარს უჭერს მოკრივეთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ხოსე სულეიმანიც. იგი არ უარყოფს, რომ ჰოლიფილდს შეიძლება ჩამოერთვას ჩემპიონის გვირგვინი უძლიერესი მძიმეწონოსნის რანგში მაიკ ტაისონთან თავის პირველ ორთაბრძოლაზე უარის თქმისთვის.

ახლა სიტყვა მართლმსაჯულებას ეკუთვნის.

**შოთა ჭულუხაძე**

# სტარტზე არიან... შერეკილები

— ჩვენ შერეკილები ვგონივართ, მაგრამ პირადად მე ეს არ მაღელვებს. ვაკეთებ იმას, რაც სიამოვნებას მანიჭებს. — ეს სიტყვები ეკუთვნის ჩედ ჰანდებს, პირველ მსოფლიო ჩემპიონს ცურვაში... 25 კილომეტრზე

ეს მარათონული დისტანცია პირველად ჩართეს სპორტის საწყლოსნო სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში, რომელიც ავსტრალიის ქალაქ პერტში ჩატარდა. ესოდენ გრძელი დისტანცია 27 მამაკაცსა და 19 ქალს უნდა გაეცურა რომანტიული სახელწოდების მდინარეზე — სვონი („გედების მდინარე"). დისტანცია ვერ დაამთავრა მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა. გამარჯვებული კი ფინიშთან იყო 5 საათის, 1 წუთისა და 45,78 წამის შემდეგ.

მიუხედავად გრძელი „მოგზაურობისა", ჰანდები საკმოდ მხნედ გამოიყურებოდა, ხუმრობდა, ესაუბრებოდა ჟურნალისტებს და არც ბანანებსა და წვენებზე ამბობდა უარს. თავისი პირველი მარათონი 20 წლის ამერიკელმა სტუდენტმა ორი წლის წინ გაცურა, რათა მეგობრები გაემხიარულებინა. პერტში მისი მესამე სტარტი იყო და მან ჰანდებს მსოფლიოში უძლიერესი წყლის სტაიერის ტიტული მოუტანა.

ავსტრალიელთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მათი თანამემამულე ქალის შელი ტეილორ-სმიტის წარმატებამ, რომელმაც „მხოლოდ" 20 წუთი დაუთმო გამარჯვებულს (5:21.05,53). ქალთა შორის ჩემპიონი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და ვარჯიშობს. დისტანციის დამთავრების შემდეგ შელი გამოტყდა, რომ დისტანციის მეორე ნახევარზე მას ასტკივდა კუნთები. ამის დასაძლევად იგი მღეროდა და უთვალთვალებდა თევზებს, რომლებიც დისტანციაზე „მიაცილებდნენ" მარათონელებს.

# პირველი საპრიზო ფონდი

ამიერიდან მოცურავეები მსოფლიო თასს საპრიზო ფონდით გაითამაშებენ. ეს განცხადება გააკეთა მსოფლიო თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კანადელმა ტრევორ ტიფანიმ. საპრიზო ფონდი ყოველ ეტაპზე და ყოველ ჩასათვლელ კატეგორიაში 10 ათას დოლარს შეადგენს. სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, აგრეთვე 100—მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით, ბრასით, ბატერფლაით და გულაღმა, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. სულ 1991 წლის თასის გათამაშება 7 ეტაპისაგან შედგება.



# დიდი ბენის დაბრუნება

ბენ ჯონსონი მძლეოსნობას დაუბრუნდა. დისკვალიფიკაციით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ტორონტოს გარეუბან ჰამილტონის დარბაზში შეკრებილმა 17 ათასმა მაყურებელმა კვლავ იხილა „დიდი ბენი" სარბენ ბილიკზე. თუმცა ამჯერად ყოფილი მსოფლიო რეკორდსმენისა და ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონის (ეს ტიტულები მას, როგორც იცით, ჩამოართვეს) გამოსვლა ძველებურად დამაჯერებელი არ ყოფილა. მან 60-მეტრიან დისტანციაზე მეორე ადგილი დაიკავა (5,77), სულ წამის ორი მეასედით ჩამორჩა ამერიკელ დარონ კოუნსილს. სხვათა შორის, გამარჯვებული შერიფის მოადგილეა ფლორიდაში და სწორედ ნარკოტიკების (ასევე დოპინგის) წინააღმდეგ ბრძოლა ევალება.

თუმცა ჯონსონის ახალი მწვრთნელი ლორენ სიგრეივი მაინც კმაყოფილი დარჩა შეგირდისა, მთელი სეზონი ხომ წინ არის.

სურათზე: ბენ ჯონსონი დისკვალიფიკაციის მერე თავის დასთან ერთად ტოვებს ოლიმპიურ სეულს.

# ამიერიდან მხოლოდ მენეჯერი

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასაწყისში აქტიურ სპორტს გამოეთხოვა კიდევ ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი 39 წლის შოტლანდიელი კენი დალგლიში. მისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა 21 წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე დალგლიშმა ბევრი მანამდე მიუწვდომელი მწვერვალი დაიპყრო და არაერთი უნიკალური მიღწევით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ფეხბურთის ისტორიაში. მისი კარიერის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია:

1969 წ. 4 ოქტომბერი: 18 წლისას დებიუტი ჰქონდა გლაზგოს „სელტიკის" შემადგენლობაში.

1971 წ. 10 ნოემბერი: ბელგიის ნაკრებთან შეხვედრაში პირველად ჩაიცვა შოტლანდიის ეროვნული გუნდის მაისური.

1972 წ. 15 ნოემბერი: ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა (შოტლანდია-დანია 2:0).

1977 წ. 7 მაისი: ბოლო მატჩი „სელტიკის" შემადგენლობაში „გლაზგო რეინჯერსის" წინააღმდეგ შოტლანდიის თასის ფინალში (1:0).

1977 წ. 10 აგვისტო: „ლივერპულმა" მის საფასურად „სელტიკს" 440 000 ფუნტი სტერლინგი გადაუხადა. ეს იყო ყველაზე ძვირი ტრანსფერი ბრიტანულ კლუბებს შორის.

1977 წ. 13 აგვისტო: პირველი მატჩი „ლივერპულის" შემადგენლობაში „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ.

1977 წ. 20 აგვისტო: პირველი გოლი „ლივერპულის" შემადგენლობაში „მიდლსბროს" კარში.

1984 წ. 14 ნოემბერი: ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გატანილი გოლების რაოდენობით (30) გაუტოლდა დენის ლოუს რეკორდს.

1985 წ. 29 მაისი: ჩემპიონთა თასის ტრაგიკული ფინალი ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე. მეორე დღეს იგი დაინიშნა „ლივერპულის" მოთამაშე მწვრთნელად.

1986 წ. 26 მარტი: იგი გახდა პირველი შოტლადიელი ფეხბურთელი ვინც ეროვნულ ნაკრებში 100 მატჩი ჩაატარა (სულ საბოლოოდ 102 მატჩი).

1986 წ. 3 მაისი: „ჩელსის" კარში გაიტანა გოლი, რომელმაც „ლივერპულს" ჩემპიონის მორიგი ტიტული მოუტანა. თვითონ კი გახდა პირველი მოთამაშე მწვრთნელი ვინც ასეთი ტიტული დაიმსახურა.



1990 წ. 14 აგვისტო: „ანფილდ როუდის" სტადიონზე გაიმართა დალგლიშის გამოსათხოვარი მატჩი („ლივერპული" — „რეალ სოსიედადი").

ამიერიდან კენი დალგლიში „ლივერპულში" მხოლოდ მენეჯერის ფუნქციებს შეასრულებს.

## აქეთური, იქითური...

მას შემდეგ რაც მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა [illegible] ანგარიშით 0:4 [illegible] „ოსასუნასთან" ბევრი მადრიდელი მწვრთნელის დი სტეფანოს გადადგომას ითხოვდა. ამასთან დაკავშირებით „რეალის" პრეზიდენტმა მენდოსამ გამოაცხადა, რომ დი სტეფანო სეზონის ბოლომდე დარჩება მწვრთნელის პოსტზე, შემდეგ კი კლუბის დირექტორატში დაიკავებს ადგილს. ზაფხულში მას ბარსელონის „ესპანიოლის" ახლანდელი მწვრთნელი ლუის არაგონესი შეცვლის.

■ ■ ■

„ბარსელონა" საგრძნობი უპირატესობით ლიდერობს ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატში. გამოცხადდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი მწვრთნელ იოჰან კრუიფთან.

■ ■ ■

აფრიკელ ფეხბურთელთათვის დაწესებული „ოქროს ბურთი" 1990 წლის გამოკითხვის შედეგად კამერუნელ როჟე მილას გადაეცა. მეორე ადგილზე შარიფ ელ უზანი (ალჟირი), მესამეზე კი ერთდროულად ორი ფეხბურთელი რაბაჰ მაჯერი (ალჟირი) და ფრანსუა ომამ ბიიკი (კამერუნი).

■ ■ ■

პოპულარულ საფეხბურთო კლუბ ბორდოს „ჟირონდას" მეორე ლიგაში გაძევება ემუქრება. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ეს ხვედრი, კლუბმა უნდა დაფაროს დავალიანება, რომელიც 87 მილიონ გერმანულ მარკას უდრის.

■ ■ ■

დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ აპირებს თხოვნით მიმართოს „ნაპოლის" ხელმძღვანელობას, რათა იგი ერთი წლით ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსს" ათხოვონ.

■ ■ ■

სახელგანთქმული კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი დისკვალიფიკაციის მერე დაუბრუნდა სპორტს. თავის პირველ გამოსვლაში მან 16000 დოლარი მიიღო. ეს თანხა არარაობაა იმ ჰონორარებთან შედარებით რასაც ჯონსონს მომავალ შეჯიბრებებში ჰპირდებიან: 11 თებერვალს იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამოსვლისთვის მას 100000 დოლარს მისცემენ, მაიამიში დაგეგმილ „სუპერსპრინტში" მონაწილეობისთვის ჯონსონი კიდევ 60000 დოლარს ჩაიჯიბავს. მთავარი მაინც 30 მაისისთვის სევილიაში დანიშნულ ჯონსონ-ლუისის დუელია. თუ ეს ასპარეზობა შედგება ჯონსონი 1 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

„ფორმულა-1" ავტომობილებით 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატში იტალიის გუნდი „ბენეტონი" წარმოდგენილი იქნება ბრაზილიური შემადგენლობით. ნელსონ პიკესთან ერთად ამ გუნდის ღირსებას მეორე ბრაზილიელი რობერტო მორენოც დაიცავს. მორენომ იტალიელი პილოტი ალესანდრო ნანინი შეცვალა.

■ ■ ■

ოთხშაბათს ნეაპოლში გაიმართა საინტერესო საფეხბურთო მატჩი, რომელიც მიეძღვნა ინგლისის კლუბების ევროპულ ტურნირებში დაბრუნებას. ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ინგლისის ლიგების ნაკრები გუნდები. იტალიის გუნდმა ჩინებულად ითამაშა და როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „ყველას უჩვენეს რა არის ნამდვილი ფეხბურთი". მათ დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 3:0. გოლები გაიტანეს ვან ბასტენმა (24), კარეკამ (26) და არგენტინელმა სიმეონემ (65).

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. 43.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 39-18-87.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 36-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში- თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოხიშვილი.